საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 21 ივნისი, 2014 წელი.

№119 (7500)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუერთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ირაკლი სესიაშვილის 7 კითხვა ირმა ნადირაშვილსა და ზურაბ ჯაფარიძეს

2

ზურაბ ჯაფარიძე და ირმა ნადირაშვილი მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მათ თანხა დააბრუნეს



4 5

ლეგენდარული ქართველი მენავთობე

საქართველოშიც უნდა შეიქმნას ასოციირების შეთანხმების მონიტორინგის სამსახური

3

ცხინვალმა პირველმა აღიარა „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობა

8

დღის ამოფრაზურიდან:

ჭიაბერაშვილმა „ქართვლის დედას“ დააბრალა უამრავი სიბინძურე და ნარ-მანიას დედას დაინდობდა?!

ძველებრაული ფრესკა

7

რაზილი

ისტორიული მითები და დაბნეულობანი

6



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად დავით პატარაია დაინიშნა

შესაბამისი განკარგულება საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ გამოსცა. პატარაიამ აღნიშნულ თანამდებობაზე ლაშა აბაშიძე შეცვალა. აბაშიძე პრეზიდენტმა ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობიდან 13 ივნისს გაათავისუფლა.

ასევე საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის თანამდებობა დაიკავა გიორგი კვერენჩხილაძემ. 2014 წლის იანვრიდან იგი საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილედ მუშაობდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2013 წლის დეკემბრიდან დავით პატარაია იყო პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი. სხვადასხვა წლებში იგი მუშაობდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში. წლების განმავლობაში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას და კითხულობდა ლექციებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ხოლო შემდგომ — იურიდიულ ფაკულტეტზე. არის სამართლის დოქტორი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

გიორგი კვერენჩხილაძე საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტია და წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატში სხვადასხვა თანამდებობაზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. იგი კითხულობდა ლექციებს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. არის სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლის პროფესორი და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანი. გიორგი კვერენჩხილაძემ ამ თანამდებობაზე დავით პატარაია შეცვალა.

◎ ინფორმაცია

ზურაბ ჯაფარიძე და ირმა ნადირაშვილი მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მათ თანხა დააბრუნეს

საძართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ კახა კალაძის ინფორმაციით, საპარლამენტო უმცირესობის წევრები ზურაბ ჯაფარიძე და ირმა ნადირაშვილი აზერბაიჯანელმა მებაჟეებმა მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც თანხა დააბრუნეს.

— ისინი დაბრუნდნენ ქალაქში, დაუბრუნეს თანხა იმ პიროვნებებს, ვისგანაც მოჰქონდათ და ამის შემდეგ გამოემგზავრნენ საქართველოში, მომდევნო რეისით, — განაცხადა კახა კალაძემ.

ამასთან, მისივე შეფასებით, ამ ორ დეპუტატთან დაკავშირებით „ძალიან ბევრი საეჭვო კითხვა არსებობს“.

— ჩვენი ინფორმაციით, მათ მართლაც მოჰქონდათ ერთ მილიონამდე შავი ფული. საინტერესოა ამ ფულის წარმომავლობა. თუ არაფერი იყო, როგორც ისინი ამბობენ, მაშინ რატომ ჰყავდათ 4 საათის განმავლობაში გაჩერებული აზერბაიჯანელ მებაჟეებს, მით უმეტეს, რომ მათ დიპლომატიური პასპორტები აქვთ“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

◎ საინტერესოა, რას უპასუხებენ?

რას უჩანს მოკლე ფეხები?

ირაკლი სესიაშვილის 7 კითხვა ირმა ნადირაშვილსა და ზურაბ ჯაფარიძეს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი დეპუტატებს ირმა ნადირაშვილსა და ზურაბ ჯაფარიძეს 7 კითხვით მიმართავს.

სესიაშვილი კითხვებს facebook-ის საკუთარ გვერდზე აქვეყნებს:

„უბრალოდ (რბილად რომ ვთქვათ) კითხვები მიჩნდება და საინტერესო იქნებოდა, ჩემს კოლეგებს პასუხი გაეცათ:

„1. რატომ წავიდნენ ჯაფარიძე და ნადირაშვილი აზერბაიჯანში კოლეგებთან მარნეულსა და გარდაბანში განვითარებულ მოვლენებზე სასაუბროდ? ეს რამე ახალი გზაა გასაჩივრების? მე როგორც მახსოვს, ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებს ვთხოვდით ხოლმე არჩევნებში გარკვევას...

2. რატომ წავიდნენ აზერბაიჯანში ჯაფარიძე და ნადირაშვილი (ანუ ხარჯი გაწიეს) მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში აზერბაიჯანში იყვნენ მიხეილ მაჭავარიანი და გიორგი ბარამიძე... მათი ეს ორი კოლეგა ნაკლებად შეძლებდა აზერბაიჯანელ კოლეგებთან საკითხებზე საუბარს??? (აქვე გეტყვით, რომ მე და ბარამიძე ერთად ვიყავით ბაქოში NATO-ს სემინარზე 4 დღით და უკანაც ერთად ვიმგზავრეთ გუშინ რომელ რეისზეც მაჭავარიანმა იმგზავრა, 19-ში 13:15 საათის რეისზე).

3. ცოტა არ იყოს უჩვეულოა, აზერბაიჯანის მებაჟემ უმიზეზოდ გააჩეროს მოძმე ერის დეპუტატი დიპლომატიური პასპორტით მხოლოდ იმისთვის, რომ პირისახეზე არ მოეწონა და იმდენი ელაპარაკოს „რაღაცაზე“, რომ რეისს ვეღარ მიუსწროს? ასეთი მებაჟე მე არ შემხვედრია აზერბაიჯანში, რომლის მიმართაც პრეტენზია, როგორც ჩანს, ჯაფარიძეს არ აქვს და მადლობას უხდის რომ ზრდილობიანად გამოაცილეს...

4. ჯაფარიძეს როუმინგის ფული არ ჰქონია და მიუხედავად იმისა, რომ „უსაფუძვლოდ“ გააჩერა და დააყოვნა მებაჟემ, უპრობლემოდ ახალი ბილეთები შეუძენიათ ჩემს კოლეგებს. რა პრობლემაა???

5. როგორ წარმოგიდგენიათ სცენა. ვიღაც მებაჟის არასწორი ქმედების გამო დეპუტატი ვერ ბრუნდები სახლში, ახალ ბილეთს ყიდულობ და გამორბიხარ ისევ ქალაქში (გზას აეროპორტიდან ცენტრამდე დაახლოებით 40 წუთი სჭირდება) ყავის დასალევად ...

6. თუ არაფერი საეჭვო არ ყოფილა აეროპორტში, რატომ გამოიძახეს საქართველოს ელჩი აეროპორტში??? ის უნდა ეთქვათ, თქვენი დეპუტატები უსაფუძვლოდ დავაყოვნეთ და პრობლემები შეგვუქმნითო???

7. ჩემს კოლეგებს ვთხოვდი, დაასახელონ კონკრეტული დროები მათი ამ ინციდენტის წარმოქმნის, ასევე ის პირები, რომელთაც ხვდებოდნენ და ადგილები, სადაც ეს შეხვედრები იმართებოდა და განსაკუთრებით ის კაფე, სადაც ყავა მიირთვეს. იმედია, ვიდეოკამერები ბაქოშიც არსებობს.

კოლეგებო, პროკურორი არ ვარ, უბრალოდ, იმას, რასაც თქვენ ჰყვებით, მოკლე ფეხი უჩანს“, — წერს სესიაშვილი.

ალა გრიგალაშვილი

ურთიერთობის აღსადგენად ჯერ რუსეთმა უნდა შეასრულოს სამი წინაპირობა

სანამ სამი წინაპირობა არ შესრულდება, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე საუბარი არ იქნება. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ამით მაია ფანჯიკიძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებას გამოეხმაურა. კარასინი აცხადებს, რომ დროა, საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად პირველი ნაბიჯები გადადგას.

როგორც მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, საქართველოს არც ერთი ნაბიჯი რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად არ გადაუდგამს.

„ბატონი კარასინი, და საერთოდ, რუსეთის მხრიდან მსგავსი განცხადება, რომ დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად პირველი ნაბიჯი საქართველომ უნდა გადადგას, ჩვენ ადრეც მოგვისმენია და ადრეც გამიკეთებია კომენტარი. იმ პირველი გაკეთებული კომენტარიდან დღემდე არაფერი არ შეცვლილა, საქართველო ვერ გადადგამს რუსეთის მიმართულებით დიპლომატიური ურთიერთობების აღსადგენ ნაბიჯს იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% არის ოკუპირებული რუსეთის მიერ, იმიტომ, რომ საქართველოს ორი განუყოფელი ნაწილი არის აღიარებული რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ასევე იმის გამო, რომ ცხინვალსა და სოხუმში რუსეთს დიპლომატიური წარმომადგენლობები აქვს, სრულფასოვანი დიპლომატიური ურთიერთობები აქვთ, ასევე არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს“, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

როგორც მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულდება 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, მოხდება დეოკუპაცია, აღიარების უკან წაღება, ეს შესაძლებლობას მოგვცემს, დაიწყოს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა.

◎ ენერგეტიკა

ვინ და რით „გადააზღვევს“ დამოკიდებულებას?

ენერგოდამოუკიდებლობა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება

საძართველოში ბოლო დროს სულ უფრო იშვიათად ახსენდებათ ენერგოდამოუკიდებლობის თემა. ეს საკითხი ძირითადად მსხვილი ჰესების მშენებლობის დროს ხდება ხოლმე აქტუალური, უპირატესად — ეკოლოგიურ კონტექსტში. როგორ შეძლო შედარებითი ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევა ქვეყანამ და რა არის დღეს მთავარი და მნიშვნელოვანი გამოწვევა ამ მიმართულებით? — ამაზე პასუხის გასაცემად საჭირო იქნება საქართველოს ენერგოწარმოებისა და ენერგომოწოდების დღევანდელ წყაროებს გადავხედოთ.

ექსპერტების მონაცემებით, დღეს ელექტროენერგიის გენერაციის მთლიანი დადგმული სიმძლავრე საქართველოში 3500 მგვტ-ს შეადგენს. ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერგიის 85 პროცენტი ჰიდროენერგეტიკაზე მოდის. ელექტროენერგიის წლიური წარმოება თითქმის სრულიად საკმარისია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სხვადასხვა შეფასებით, საქართველოს ჰიდროენერგიის სრული პოტენციალიდან დღემდე ტექნიკურად მიზანშეწონილი პოტენციალის მხოლოდ, დაახლოებით, 11-დან 18 პროცენტამდეა ათვისებული. საქართველოში, დაახლოებით, 47 მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგური და 6 მსხვილი ჰიდროელექტროსადგურია. ყველა ისინი, მცირე გამონაკლისის გარდა (ენგური, ვარდნილის კასკადი), პრივატიზებულია. შესაბამისად, ასათვისებელი რესურსი საკმაოდ დიდია.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უდავოდ ელექტროენერგიის მოხმარების ზრდასთანაცაა დაკავშირებული, რისთვისაც საქართველოს დამატებითი რესურსები ესაჭიროება. გარდა ამისა, ელექტროენერგიის წარმოება საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საექსპორტო პოტენციალად განიხილება.

სწორედ ამიტომ, საკმაოდ დიდ იმედებს ამყარებენ ხუდონჰესზე. ხუდონჰესის გამომუშავება 1 მილიარდ 500 მლნ. კვტ.სთ იქნება. მემორანდუმით მას აღებული აქვს ვალდებულება, ზამთრის 4 თვის განმავლობაში საქართველოს ენერგოსისტემას 133 მლნ. კვტ.სთ მისცეს 5,84 ცენტად. ხუდონჰესის გარდა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით, ყველა მშენებარე ელექტროსადგურმა თავისი გამომუშავებული ელექტროენერგიის 20% სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოს. შესაბამისად, ყველა ახალი რეალიზებული პროექტი საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობისთვის ახალი შენაძენია.

თუმცა, ყველა ახალი მშენებლობა დაკავშირებულია როგორც სოციალურ, ისე გარემოსდაცვით გამოწვევებთან. ხუდონჰესის შემთხვევამ კი აჩვენა, რომ ხელისუფლებები ყოველთვის მზად არ არიან ამ გამოწვევებზე პირდაპირი და კონკრეტული პასუხის გასაცემად.

რაც შეეხება ქვეყნის გაზმომარაგებას, საქართველოში ოთხი სხვადასხვა წყაროსა და სხვადასხვა ფასის გაზი შემოდის, მათ შორის, ორი წყარო არის შაჰდენიზის და ის ლიმიტირებულია. იმავდროულად, ქვეყანა იღებს გაზს რუსეთ-სომხეთის ტრანზიტისგან, დარჩენილ ბუნებრივ აირს კი — კვლავ აზერბაიჯანიდან. ყველა კონტრაქტის ფასი სხვადასხვაა, თუმცა, ფასზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, გაზმომარაგების თვალსაზრისით, საქართველო მნიშვნელოვნად გახდა დამოკიდებული ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანზე, რომელიც, რა თქმა უნდა, ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორია, თუმცა, ამ დამოკიდებულების „გადაზღვევა“ დღეს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის კიდევ ერთი, ჯერჯერობით უპასუხო, გამოწვევაა.

საბოლოო ჯამში, ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის მიღწევიდან 20 წლის თავზე საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა შეძლო ენერგოდამოუკიდებლობის მიმართულებით, თუმცა, გამოწვევები რჩება და მათზე სწორი პასუხის გაცემა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის სამომავლო — არამხოლოდ ეკონომიკური — განვითარების პერსპექტივას.

ნინო ევგენიძე

◎ მშენებლობა

ბათუმში 14 მლნ დოლარის მოცულობის ინვესტიციის განხორციელება იწყება

ბათუმში კიდევ ერთი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას ჩაეყარა საძირკველი, რომლისთვისაც 14 მილიონის დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. მშენებლობის საძირკველში აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ მშენებელ კომპანია შპს DS GROUP — ის მფლობელ სერგეი დავიდოვთან ერთად ხელი მოაწერა სერტიფიკატს, რომელიც სიმბოლურად საძირკველში კაფსულით ჩააგდეს. კომპანია 26-სართულიანი ორი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას 3000 მ/კვ-ზე განახორციელებს, რომლის პირველ და მეორე სართულებზე კომერციული ფართები განთავსდება. საცხოვრებელ კომპლექსს ექნება თავისი ბაგა-ბაღი და სკოლა. მშენებლობაზე სულ მცირე 100 ადგილობრივი დასაქმდება. კომერციულ ფართში დაგეგმილია ბათუმში პუშკინის № 132-ში მდებარე სავაჭრო ცენტრ „მოსკოვის“ მოვაჭრეთა გადმოყვანა. მის ადგილას კი მიმდებარე ბარაკულ შენობა-ნაგებობებს აიღებენ და 8 000 მ/კვ ფართობზე კიდევ ერთი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი აშენდება.

საქართველოშიც უნდა შეიქმნას ასოციირების შეთანხმების მონიტორინგის სამსახური

15 ივნისის არჩევნების შედეგებსა და ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ მთავრობის ამოცანებზე, მათი რეალიზაციის გზებზე „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა ნიუიორკის ფორდჰამის უნივერსიტეტის მიწვეულ პროფესორს ლევან ბოძაშვილს.

— ბატონო ლევან, ვინაიდან ადგილობრივი არჩევნები ახალი დასრულებულია, ჩვენი საუბარიც არჩევნების შედეგებით დავიწყოთ. თუ პატარ-პატარა ექსცესებს არ მივიღებთ მხედველობაში, ფაქტია, რომ არჩევნების ჩატარების თვალსაზრისით ქვეყანა ნამდვილად დგამს ნაბიჯებს წინ. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ არჩევნების პოლიტიკურ შედეგებს?

— იმის მიუხედავად, რომ არჩევნები ჯერ არ დასრულებულა და წინ მეორე ტურია, რამდენიმე პოზიტიური პოლიტიკური შედეგი აშკარაა. **პირველი** — არჩევნები ჩატარდა დემოკრატიულად, რაც მნიშვნელოვანია ასევე ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავების თვალსაზრისით, ასოციირების შეთანხმების ხელმოწერისა და უელსის სამიტის წინ. **მეორე** — ამომრჩეველი გაფრთხილებას აძლევს ხელისუფლებას და **მესამე** — ორპოლუსიანი პოლიტიკური ლანდშაფტისთვის ამომრჩეველი არც მზად არის და ამის არც სურვილი აქვს, არსებული პოლიტიკური პარტიების ფონზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ დიდი ალბათობით გაიმარჯვებს მეორე ტურებშიც, რაც მას სახელმწიფო და ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაზე სრულ პასუხისმგებლობას პოლიტიკურად დააკისრებს.

— ყველა აღიარებს და თავის მოსაზრებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ 15 ივნისის არჩევნებზე საკმაოდ დაბალი იყო ამომრჩევლის აქტივობა. ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იმშვიდებენ, ხალხის საარჩევნო უბნებში მიუსვლელობა დასტურია იმისა, ხალხი „ქართულ ოცნებას“ ისედაც უჭერს მხარსო. ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მტკიცებით, დაბალი აქტივობა ფეხბურთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ბრალია, მაგრამ აშკარაა, რომ საქმე მთლად ასე სულაც არ უნდა იყოს. თქვენი აზრით, რისი თქმა უნდოდა ან რისი გამოხატულება შეიძლება იყოს ამომრჩევლის პასიურობა?

— ზოგადად ამომრჩევლის დაბალი აქტივობა ადგილობრივი არჩევნებისთვის დამახასიათებელია. თუმცა, ამ დაბალი აქტივობის მიზეზი არც მსოფლიო ჩემპიონატია და არც გადაჭარბებული ნდობა. ერთი მხრივ, ამის მიზეზი ის არის, რომ ამომრჩეველი კვლავაც მიიჩვენს, მაინც სახელისუფლებო პარტია გაიმარჯვებსო და კვლავ ეუფლება საარჩევნო ნიჰილიზმი; მეორე მხრივ, ის გამოთქვამს გარკვეულ პროტესტს და ამჯობინებს, ამ ეტაპზე ნეიტრალური დარჩეს.

— არჩევნების მეორე ტური დაინიშნა არა მარტო თბილისში, არამედ კიდევ 7 თვითმმართველ ქალაქში. ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ ამომრჩეველმა ვერ გაიგო ხელისუფლების წინადადება, თავად იყოს მეტად ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, მაგრამ თქვენი დაკვირვებით, ახლა რა უნდა გააკეთოს მმართველმა პარტიამ იმისთვის, რომ განმეორებით არჩევნებში ხალხმა მეტად იაქტიუროს?

— ხალხის მეტად აქტიურობა არ ნიშნავს აპრიორი მმართველი პარტიისთვის ხმის მიცემას, ისევე როგორც არ ნიშნავს ოპოზიციური პარტიისთვის ხმის მიცემას. არჩევანი ნეიტრალურად და ნიჰილისტურად განწყობილი ამომრჩევლისათვის მეორე ტურში უფრო რთული გასაკეთებელია, გამომდინარე მიღებული მოცემულობებიდან.

ამდენად, თუ მმართველი პარტია აპირებს ამომრჩევლის მობილიზებას, მან ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, მით უმეტეს, რომ საამომრჩევლო ფორა მის მხარეზეა, რადგან ყველა სხვა პოლიტიკურმა ძალამ პირველ ტურში, ფაქტობრივად, საკუთარი ამომრჩევლის სრული მობილიზება მოახდინა და მათ დამატებითი რესურსი, გარდა მმართველი პარტიის მძაფრი კრიტიკისა, აღარ დარჩათ.

— 2011 წელს პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენილ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებულმა, მაგრამ შემდეგ პოლიტიკური პროცესებიდან დღემდე დაუდგენელ მიზეზთა გამო თავისი ნებით გარიდებულმა ექსპერტმა გია ხუხაშვილმა არჩევნების შედეგების კომენტირებისას უცნაური განცხადება გააკეთა — „ხალხის 40-50% ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინშია“. ბატონი გიას განცხადებას უცნაურად დაემთხვა ივანიშვილთან ასევე დაახლოებული ცნობილი მსახიობის ნინელი ჭანკვეტაძის განცხადება — „დროა, კოალიცია ქართული ოცნება“ პარტიებად დაიშალოს. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს განცხადებები?

— თუ დღეს საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელსაც ამომრჩევლის 50%-ის გამოკვეთილი მხარდაჭერა აქვს, ეს ნიშნავს, რომ ასეთი მოლოდინი და, მეტიც, საჭიროება არსებობს.

ერთი მხრივ, ეს განცხადება მიანიშნებს, რომ თითქმის ორი წლის თავზე კვლავ გაჩნდა „ახალი“ და, სწორედ ამ სიტყვას იყენებს გია ხუხაშვილი, პოლიტიკური ძალის მოლოდინი და საჭიროება საზოგადოებაში და, რომ დიდი შანსია, ასეთი ძალის გაჩენისა უახლოეს მომავალში. სიტყვა „ახალი“ მიანიშნებს იმაზეც, რომ თუ ასეთი ძალა გამოჩნდება, ის უნდა იყოს ახალი სახეებით დაკომპლექტებული და კიდევ უფრო შორს რომ წავიდეთ, მისი აზრით, არსებულმა „ახალმა“ ვერ გაამართლა.

— რამდენად რეალისტურია ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ისეთი პარტიის გამოჩენა, რომელსაც მხარს ამომრჩეველთა 50% დაუჭერს? რა ტიპის პარტია შეიძლება იყოს და ვინ შეიძლება იდგნენ მის უკან? ხომ არ შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ეს „ახალი პარტია“ სულაც არ იქნება და აღმოჩნდეს იმ პრორუსული პარტიების გაერთიანება, რომლებმაც ბოლო არჩევნებზე ერთად 20% აიღეს?

— ერთია, რომ ახალი ძალის გამოჩენის მოლოდინი ჰქონდეს ამომრჩევლის 40-50% და მეორეა, როდესაც ის გამოჩნდება, მას ამდენივემ ხმა მისცეს. ქართველი ამომრჩეველი დღეს უკვე უკიდურესად კრიტიკული და სკეპტიკურია. მე ვიტყოდი, გარკვეულწილად ფრუსტრირებულიც ზოგადი პოლიტიკური ტენდენციებით. ამომრჩეველს ამის სრული საფუძველი აქვს. ამდენად, თუ ასეთი ძალა გამოჩნდება, ის უნდა იყოს არა ცნობადი პოლიტსახეებით, არამედ პროფესიონალიზმისა და წესიერების ნიშნით შერჩეული ადამიანებით დაკომპლექტებული, რომლებიც მანამდე არ ყოფილან აქტიურ პოლიტიკაში. მოსახლეობას საქმის კეთების, პრობლემების მოგვარების მოთხოვნილება აქვს და ამას მოითხოვს მთავრობებისგან და არა პოლიტკინკლაობას და მხოლოდ „პურს და სანახაობას“.

— ევროკავშირის ასოციირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ ქვეყანა ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდება. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ შეთანხმების ძირითადი დებულებების შესასრულებლად, სავარაუდოდ, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს მთავრობის დღის წესრიგი?

— ეს ხანგრძლივი პროცესია, ზოგი მიმართულება ასოციირების შეთანხმებიდან გამომდინარე ითვალისწინებს შესრულების 3-წლიან, ზოგიც 5 და 8-წლიან ვადებს. ამიტომ, ეს ის პროცესია, როცა ხელისუფლებამ უნდა იჩქაროს ნელა, ეფექტურად და გეგმაზომიერად. მან უნდა მოიზიდოს კვალიფიციური კადრები, საკადრო პოლიტიკა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლია ამ ხელისუფლების როგორც პროფესიონალიზმის, ასევე კეთილსინდისიერების თვალსაზრისით, ვგულისხმობ არაადეკვატურ პრემიებსა და სხვა ტექნიკურ პრივილეგიებს, რასაც ყველაზე თვალშისაცემი გავლენა აქვს ამომრჩევლის განწყობაზე.

— ამას წინათ, სოციალურ ქსელში, თქვენს გვერდზე თვალი მოვკარი თქვენსავე საინტერესო ინიციატივას, უფასოდ გაუწიოთ კონსულტაცია იმ ბიზნესმენებს, რომლებსაც ევროკავშირის ბაზარზე პროდუქტის ექსპორტირების სურვილი აქვთ. რამდენადაც მივხდი, თქვენ გინდათ დაეხმაროთ ჩვენს ბიზნესმენებს, გაუმარტივოთ მათ ევროპაში ბიზნესის დაწყება. როგორ შეხვდნენ თქვენს ამ ინიციატივას ბიზნესწრეები, მთავრობიდან თუ მოჰყვა თქვენს ინიციატივას გამოხმაურება?

— ჩვენი ამოცანაა, მივცეთ მაგალითი ყველას, ვისაც ამ პროცესში რაიმე წვლილის შეტანა შეუძლია. ქართული ბიზნესი იქნება ბევრად უარეს მდგომარეობაში ასოციირების შეთანხმების ამოქმედების შემდეგ, ვიდრე ევროპული კომპანიები, რომლებიც სარგებლობენ როგორც დიდი მარკეტინგული შესაძლებლობებით, ისე 2-3 პროცენტიანი ბიზნესსესხებით, რაც მათ საგრძნობ უპირატესობას ანიჭებს.

მთავრობის ამოცანაა, შესაძლებლობის ფარგლებში შეამციროს ფინანსური ხარჯები, რომელთა გაწევაც აუცილებლად მოუწევს ქართულ ბიზნესს ევრობაზარზე ეფექტური შესვლისათვის.

საჭიროა მოქნილი, ერთგვარი პროტექციონისტული პოლიტიკის შემუშავება და დახმარება იქ, სადაც ამაზე მთავრობას ხელი მიუწვდება. საქართველოს დიპწარმომადგენლები ევროპის დედაქალაქებში მზად უნდა იყვნენ, კვალიფიცური დახმარება აღმოუჩინონ ქართულ ბიზნესკომპანიებს ყველა საკითხში და მათ ამის შესაბამისი დავალებაც უნდა ჰქონდეთ.

ჩვენი კომპანიის კეთილი ნება და ამოცანაა, ასოციირების ამოქმედების მომენტიდან, ყველა ქართულ კომპანიას უფასო კონსულტაცია გავუწიოთ ევროკავშირის ბაზრის სამართლებრივ ლაბირინთებში სწრაფი და იაფი გზის გასაკვლევად, ეს ეხება როგორც ფიზიკურ, ისე ვირტუალურ, ციფრულ ბაზარს. ცნობისთვის, ამ ბაზრის დამატებითი შემოსავალი თითოეულ ევრომოქალაქეზე თვიურად 1000 ევრომდე შეადგენს და ჯერ კიდევ ახალი შექმნილია. ჩვენ ვმოქმედებთ ჰოლანდიისა და ბელგიის ორ უმსხვილეს იურიდიულ და ლობისტურ ჯგუფებთან ერთად. გვაქვს საშუალება, ეს უპირატესობა გამოვიყენოთ ქართული კომპანიების სასარგებლოდ.

— ნიტორინგის სამსახურზეა საუბარია და ხომ არ იქნებოდა საჭირო ამგვარი სამსახურის საქართველოშიც შექმნა?

— უკრაინის მთავრობამ უკვე მიმართა ექსპერტებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები ასოციირების შეთანხმების განხორციელების მონიტორინგის სამსახურის შექმნის თაობაზე. ასოციირების შეთანხმების განხორციელების მორიტორინგის სამსახური საქართველოშიც რაც შეიძლება სწრაფად, აუცილებლად უნდა შეიქმნას და ეს სამსახური უნდა იყოს პირადად პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში, რათა ეფექტურობის ხარისხი იყოს მაქსიმალური.

პრემიერ-მინისტრს, როგორც მმართველი პოლიტიკური ძალის ლიდერს, უნდა ჰქონდეს საშუალება, განახორციელოს, გააკონტროლოს და მაქსიმალურად შეამციროს ასოციირების პროცესის იმპლემენტაციის ნაკლოვანებები, რადგან ასოციირების შეთანხმების არაეფექტური იმპლემენტაცია აუცილებლად გამოიწვევს როგორც ევროინტეგრაციული პროცესის დისკრედიტაციას ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე ავტომატურად გაზრდის პრორუსულ განწყობებს და დასწევს კოალიციის პოლიტიკურ წონას. ამ პროცესში ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული პარლამენტის როლი, რადგან უამრავი საკანონმდებლო აქტი იქნება საადაპტაციო ევროპულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ბევრი — პოლიტიკის განმსაზღვრელი.

— ფაქტია, რომ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ქვეყანა ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდება. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ შეთანხმების ძირითადი დებულებების შესასრულებლად, სავარაუდოდ, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს მთავრობის დღის წესრიგი?

— ეს ხანგრძლივი პროცესია, ზოგი მიმართულება ასოციირების შეთანხმებიდან გამომდინარე ითვალისწინებს შესრულების 3-წლიან, ზოგიც 5 და 8-წლიან ვადებს. ამიტომ, ეს ის პროცესია, როცა ხელისუფლებამ უნდა იჩქაროს ნელა, ეფექტურად და გეგმაზომიერად. მან უნდა მოიზიდოს კვალიფიციური კადრები, საკადრო პოლიტიკა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლია ამ ხელისუფლების როგორც პროფესიონალიზმის, ასევე კეთილსინდისიერების თვალსაზრისით, ვგულისხმობ არაადეკვატურ პრემიებსა და სხვა ტექნიკურ პრივილეგიებს, რასაც ყველაზე თვალშისაცემი გავლენა აქვს ამომრჩევლის განწყობაზე.

— ამას წინათ, სოციალურ ქსელში, თქვენს გვერდზე თვალი მოვკარი თქვენსავე საინტერესო ინიციატივას, უფასოდ გაუწიოთ კონსულტაცია იმ ბიზნესმენებს, რომლებსაც ევროკავშირის ბაზარზე პროდუქტის ექსპორტირების სურვილი აქვთ. რამდენადაც მივხდი, თქვენ გინდათ დაეხმაროთ ჩვენს ბიზნესმენებს, გაუმარტივოთ მათ ევროპაში ბიზნესის დაწყება. როგორ შეხვდნენ თქვენს ამ ინიციატივას ბიზნესწრეები, მთავრობიდან თუ მოჰყვა თქვენს ინიციატივას გამოხმაურება?

— ჩვენი ამოცანაა, მივცეთ მაგალითი ყველას, ვისაც ამ პროცესში რაიმე წვლილის შეტანა შეუძლია. ქართული ბიზნესი იქნება ბევრად უარეს მდგომარეობაში ასოციირების შეთანხმების ამოქმედების შემდეგ, ვიდრე ევროპული კომპანიები, რომლებიც სარგებლობენ როგორც დიდი მარკეტინგული შესაძლებლობებით, ისე 2-3 პროცენტიანი ბიზნესსესხებით, რაც მათ საგრძნობ უპირატესობას ანიჭებს.

მთავრობის ამოცანაა, შესაძლებლობის ფარგლებში შეამციროს ფინანსური ხარჯები, რომელთა გაწევაც აუცილებლად მოუწევს ქართულ ბიზნესს ევრობაზარზე ეფექტური შესვლისათვის.

საჭიროა მოქნილი, ერთგვარი პროტექციონისტული პოლიტიკის შემუშავება და დახმარება იქ, სადაც ამაზე მთავრობას ხელი მიუწვდება. საქართველოს დიპწარმომადგენლები ევროპის დედაქალაქებში მზად უნდა იყვნენ, კვალიფიცური დახმარება აღმოუჩინონ ქართულ ბიზნესკომპანიებს ყველა საკითხში და მათ ამის შესაბამისი დავალებაც უნდა ჰქონდეთ.

ჩვენი კომპანიის კეთილი ნება და ამოცანაა, ასოციირების ამოქმედების მომენტიდან, ყველა ქართულ კომპანიას უფასო კონსულტაცია გავუწიოთ ევროკავშირის ბაზრის სამართლებრივ ლაბირინთებში სწრაფი და იაფი გზის გასაკვლევად, ეს ეხება როგორც ფიზიკურ, ისე ვირტუალურ, ციფრულ ბაზარს. ცნობისთვის, ამ ბაზრის დამატებითი შემოსავალი თითოეულ ევრომოქალაქეზე თვიურად 1000 ევრომდე შეადგენს და ჯერ კიდევ ახალი შექმნილია. ჩვენ ვმოქმედებთ ჰოლანდიისა და ბელგიის ორ უმსხვილეს იურიდიულ და ლობისტურ ჯგუფებთან ერთად. გვაქვს საშუალება, ეს უპირატესობა გამოვიყენოთ ქართული კომპანიების სასარგებლოდ.

კობა გენდელიანი

◎ ალიანჩალიანი

ჩადიც დაგვიმეგობრდა

საქართველომ და ჩადის რესპუბლიკამ დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარების შესახებ ოქმს ხელი მოაწერეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, მხარეები ეყრდობიან რა გაეროს წესდებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და მიზნებს, სახელმწიფოები ერთმანეთთან ურთიერთობებში ხელმძღვანელობენ სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, სახელმწიფო საზღვრების ურღვევობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით.

ჩადის რესპუბლიკის მხრიდან ოქმს ამ სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გაერო-სთან მუდმივმა წარმომადგენელმა შერიფ მაჰამატ ზენიმ მოაწერა ხელი, საქართველოს მხრიდან კი — საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გაერო-სთან საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა კახა იმნაძემ. ხელმოწერის ცერემონიალი ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა.

ინტერპრესი

ლეგენდარული ქართველი



2014 წლის 22 ივნისს ბატონ რევაზ თევზაძეს 93 წელი უსრულდება. იუბილარს დაბადების დღეს ულოცავენ მისი მეგობრები, გივი მინდელის სახელობის „ჯუტოკის“ წევრები: დემურ მიქაძე, თამაზ ცინცაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, ბორის ქობულია, თამაზ ყაჭეიშვილი, გურამ ახრახაძე, როლანდ იოსელიანი, გია მახარაძე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუბილარისადმი ღრმა პატივისცემის გამოხატვის მიზნით, თავის დღევანდელ ნომერში ბეჭდავს გაზეთ „საქართველოს მოამბეში“ 14 წლის წინათ გამოქვეყნებულ ბატონ რევაზ თევზაძისადმი მიძღვნილ ქალბატონ ნესტან გუგუშვილის სტატიის სრულ ვარიანტს (2000 წლის 11 ოქტომბერი – №9 (24) სათაურით: „ლეგენდარული ქართველი მენავთობე“.

ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კომპანიის პრეზიდენტმა საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა და ეროვნული ენერგეტიკის აკადემიების აკადემიკოსმა, პროფესორმა რევაზ თევზაძემ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამთო ინჟინრის – მენავთობის სპეციალობით. განაწილებით მუშაობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში – კვაისისა და ერწოს საბადოებზე. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით საქართველოში დაძიებული, გახსნილი და დამტკიცებული იქნა მინერალური რესურსების სამრეწველო მნიშვნელობის მრავალი საბადო. წლების მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა გეოლოგიური ძიების სამსახურებს შაორის ქვანახშირის, სპილენძის, პოლიმეტალებისა და ბარიტის კომპლექსურ საბადოებზე. ეს საბადოები შედიოდა ყოფილი საკავშირო გეოლოგიურ სამინისტროში. ამავე სამინისტროში მისი ხელმძღვანელობის ობიექტი იყო საქართველოს მეტალების კომპლექსური ექსპედიცია. 1973 წლიდან ნავთობის საკავშირო სამინისტროს ტრესტ „საქნავთობის“ მმართველია. შემდგომში საწარმოო გაერთიანების „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი, დეპარტამენტ „საქნავთობის“ თავმჯდომარე, სახელმწიფო კომპანია „საქნავთობის“ პრეზიდენტი და დღეისათვის სააქციო საზოგადოება „ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ პრეზიდენტი – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

რევაზ თევზაძე ეროვნული ნავთობმრეწველობის პატრიარქადაა აღიარებული ქართველ მენავთობეთა ყველაზე დიდი გამარჯვებები „საქნავთობში“ ბატონ რევაზის სახელს უკავშირდება.

მისი მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებულ აღმავლობას მიაღწია საქართველოს ნავთობის მრეწველობამ. ყოველწლიური ნავთობის მოპოვება 27 ათასი ტონიდან (1973 წელი) გაიზარდა 3 მილიონ ტონამდე (1980 წელი), ხოლო 1981-83 წლებში მაქსიმუმ მიაღწია – 3,300 ათასი ტონა წელიწადში. მისი შრომა ჯეროვნად იქნა შეფასებული ჯერ კიდევ საბჭოთა წყობის პერიოდში. დაჯილდოდებულია მთავრობის მრავალი უმაღლესი ჯილდოთი. 1966 დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, 1970 წელს კი – საიუბილეო მედლით „შრომითი მამაცობისთვის“.

სასარგელო წიაღისეულის საბადოების წარმატებული ძიებისა და გეოლოგიური საძიებო სამუშაოების წარმოებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისთვის, მადნეულის საბადოს მარაგების სახელმწიფო კომისიაზე დამტკიცებისათვის 1971 წელს მიენიჭა მაშინდელი მთავრობის უმაღლესი ჯილდო – სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. 1980 წელს დაჯილდოვეს შრომის წითელი დროშის მეორე ორდენით. ოცი წლის მანძილზე არის საქართველოს ნავთობის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე. არის საქართველოს დამსახურებული მენავთობე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის საბადოების ბურღვის კათედრის პროფესორი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული აკადემიის ნამდვილი წევრი.

ბატონ რევაზს მისი კაცობის გვირგვინად ნავთობის ძიება-მოპოვების საქმე, ქართული ნავთობისთვის თავგამოდებული ბრძოლა მიაჩნია. აქ გასცდა მისი შინაარსით შრომითი ცხოვრება საზღვრებს და ადამიანთა მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩენილთა რიგებს შეუერთდა. მეც ხელშესახებად რომ ჩავწვდი მის ნაშრომსა და ნაღვაწს, დავინახე არა ლოზუნგები და დეკლარაციები, არამედ პრაქტიკული საქმე და მიღებული შესანიშნავი შედეგები, რაც დიდებული შტრიხია საქმიანი კაცის პორტრეტისათვის.

– პოლიტიკოსი არა ვარ, – ამბობს ბატონი რევაზი, – ჩემი პოლიტიკა საქმისადმი ერთგული სამსახურია, ჩემი ხალხის გვერდით დგომა და მათთან ერთად შრომა.

– ბარაქალა თქვენს უებრო პოლიტიკოსობას, ბატონო რევაზ!

მისი ხასიათის დიდებული შტრიხია შეუპოვრობა, წინააღმდეგობის დაურვება, უკან დასახევი გზის მოკვეთა.

რევაზ თევზაძე – „საქართველოს ისტორიის“ ერთტომეულში

ლეგენდარული ქართველი მენავთობე – ასეთი სახელით შევა „საქართველოს ისტორიის“ ერთტომეულში პროფესორი რევაზ თევზაძე, რომელიც გახლავთ საქართველოს ენერგეტიკისა და საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი. კონკრეტულად კი წიგნში შევა 2000 წელს გაზეთ „საქართველოს მოამბეში“ №9 (24) გამოქვეყნებული სტატია, სადაც მოთხრობილია მასზე, როგორც ღირსეულ მამულიშვილზე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ აღმშენებლობაში.

„საქართველოს ისტორიის“ ერთტომეული გამოსაცემად მოამზადა მედიაკავშირმა „მეოთხე ხელისუფლებამ“ და „ივერია – XXI“-მ ცნობილი მეცნიერებისა და ჟურნალისტების ხელშეწყობითა და ძალისხმევით. მასში გამოყენებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული მასალების ფოტოასლები, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში შედგენილი რუკები.

წიგნი გამოიცემა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და მიეწოდება საერთაშორისო ორგანიზაციებს, დიპლომატიურ კორპუსებს, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს და საბიბლიოთეკო ქსელს.

რევაზ თევზაძისა და მისი თანამოაზრეების ინიციატივით შეიქმნა საქართველოში ნავთობის განვითარების ახალი პროგრამა, რომელმაც დიდი მხარდაჭერა ჰპოვა რესპუბლიკაში. იქნებ ყველამ არც კი იცოდეს, საქართველოს ნავთობის მოპოვების საქმეში რა დიდი წვლილი მიუძღვის ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც შესანიშნავად იცოდა თითოეული საბადოს, თითოეული ჭაბურღილის შესაძლებლობა, სიძნელეები, არსებული წიაღისეული რესურსების მარაგი, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საქართველო მდგარიყო ნავთობმომპოვებელთა შორის, არ აღმოჩენილიყო დასახური ობიექტების სიაში. ეს ძალისხმევა სრულიად ნათლად გამოიკვეთა მაშინ, როცა საქართველოს ნავთობის მდგომარეობა იხილებოდა საკავშირო სამინისტროში. კოლეგიის თითქმის ყველა წევრი ეწინააღმდეგებოდა საქართველოში ნავთობის ამოღების საქმის გაგრძელებას, რასაც წინ აღუდგა თვითონ მინისტრი ვალენტინ შაშინი.

– მივეცით ქართველებს, მათი მოთხოვნისამებრ, სამი წელი, ვნახოთ, რა გამოუვათ აქედან!

გამოიყო ტექნიკა, ტრანსპორტი, კაპიტალური დაბანდება. ისე აგვიხდეს ყველა სურვილი, როგორც ახდა ქართველ მენავთობეთა ოცნება. უკვე 1974 წლის თებერვალში პირველი შადრევანი წამოვიდა სუფსაში.

– 150 ტონის ოდენობით – დღე-ღამეში, მეორე ტარიბანაში (მაისში) ას ტონაზე მეტი დებიტით. იმავე წლის აგვისტოში №7 ჭაბურღილმა ნავთობი მისცა სამგორ-პატარძეულის საბადოზე და ა. შ.

აქედან მოყოლებული დაიძრა „მაცოცხლებელი შადრევანი“ სხვა საბადოებიდან და დღემდე მიღებულია 26,7 მილიონი ტონა ნავთობი. აქედან 25 მილიონი ტონა ბატონ რევაზ თევზაძის მოღვაწეობის პერიოდზე მოდის.

ამ მშრალ ინფორმაციას გვერდს ვერ ავუვლით, თუ გვინდა შევაფასოთ თავგამოდებული შრომა ამ საქმის წინმავალი კაცისა, რომელმაც მამულის საკეთილდღეოდ მენავთობეთა მთელი მრავალრიცხოვანი კოლექტივი გააერთიანა. სწორედ ამ ერთობის შედეგი იყო ნავთობის მრეწველობამ 70-80-იან წლებში განვითარების მწვერვალს რომ მიაღწია – 3 მლ. 300 ათას ტონას წელიწადში.

შემდეგ რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის, შეწყდა ცენტრალური კაპიტალური დაბანდება, არც საქართველოს ბიუჯეტი იძლეოდა ნავთობის დაფინანსების საშუალებას. ამიტომ ახალი სიმძლავრეების შემოტანა შეუძლებელი იყო და ძველის მოვლა-პატრონობაც არ ხერხდებოდა. დრო კი არ ითმენდა. ბატონი რევაზ თევზაძე გამოსავლის ძიებაში აღამებდა და ათენებდა. აქ შეიძლება ცოტათი გადავუხვიოთ სათქმელს და სიამოვნებით აღვნიშნოთ: რა დროს არ უნდა დაბრუნდეს შინ, რამდენ ხანსაც არ უნდა ენთოს მის ოთახში შუქი – მეუღლე (ექიმი) და ორი ვაჟი (ერთი მეცნიერების კანდიდატი, მეორე – ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელი) ფიქრით, სულით და გულით ბატონ რევაზთან არიან. იცის მან ეს და ოჯახურ თანადგომასაც უზომოდ აფასებს.

საქართველოს დამსახურებულ მენავთობეს, დარგის საიმედო ბურჯს, მომავლის წინაშე პირნათელ მამულიშვილს მეცნიერული მოღვაწეობაც – პროფესორობა, საინჟინრო აკადემიის, საქართველოს ენერგეტიკული აკადემიის ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიების აკადემიკოსობაც – პრაქტიკულ საქმიანობაში უწყობს ხელს.

საქართველოში მეცნიერების და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, ნავთობის პროგნოზირებული რესურსები 560 მლნ. ტონით არის განსაზღვრული. რესურსებს სჭირდება დეტალური დაძიება, გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება, ეს ყველაფერი მოითხოვს კაპიტალურ დაბანდებებს, რაც ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია.

– დავიცადოთ მანამ, სანამ საქართველოს ამის საშუალება ექნება? არ იქნება სწორი! – ეს ბატონ რევაზის სიტყვებია.

გზაც მოინახა. რევაზ თევზაძემ პირდაპირ დასვა საკითხი ნავთობის საქმეში ინვესტიციების მოზიდვის შესახებ. ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა. მხარი დაუჭირეს შესაბამისმა ორგანოებმა, უპირველესად, ქვეყნის პრეზიდენტმა. შეიქმნა უცხოურ კომპანიებთან ერთობლივი საწარმოები – დიდ ბრიტანეთთან, შვეიცარიასთან, ავსტრალიასთან, ამერიკულ კომპანია „ფორტერასთან“ და ინგლისურ კომპანია „რამკოსთან“.

რევაზ თევზაძეს ეკუთვნის აგრეთვე პრიორიტეტი უცხოელ ინვესტორებთან სარფიანი გარიგებათშეთანხმების საკითხში. შეიქმნა კიდეც პროდუქციის ნაწილობრივი განაწილების კანონის საფუძველზე ჩვენთვის სასარგებლო მექანიზმი. მთლიანი დაფინანსება იწარმოებს უცხოელი ინვესტორების ხარჯზე. თუ გამართლდა, ძირითადად პროდუქციის 70 პროცენტი საქართველოში რჩება, 30 პროცენტი უცხოეთს მიაქვს. თუ არ გაამართლებს საქმე, აკრეფენ ჩამოტანილ მექანიზმებს და წავლენ – რისკის ფაქტორი მათ კისერზეა.

1994 წლიდან ინვესტიციები გაფართოვდა და ახლა

ᲛᲔᲜᲐᲕᲗᲝᲑᲔ

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ს/ს „საქნავთობთან“ ერთად, წარმატებით მუშაობენ შვეიცარიული „ემპელი“, „ჯეი-ქეი-ექს ოილ ენ გეზ“, ამერიკული „ფრონტერა“, ინგლისური „რამკო“, კანადური „კანარგო“.

ამჟამად დახვეწის პროცესშია ხელშეკრულება უდიდეს ამერიკულ კომპანიასთან „ანოდარკო“, რომელიც ჯერ კიდევ შეუსწავლელი შავი ზღვის შელფის ათვისებას აპირებს.

ქართველი მენავთობეები ამიტომ ამბობენ: — რომ არა ბატონი რეზო, საქართველოში ნავთობმოპოვება არ განვითარდებოდაო.

— გვჭირდება მინიმუმი — 2-3 წელიწადი, 5 წელი — მაქსიმუმი, რომ საქართველოს მოთხოვნილება ჩვენი რესურსებით დავაკმაყოფილოთ. ამის გარანტიას იძლევა საქართველოში მყარი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი ახორციელებს — კმაყოფილებით ამბობს ბატონი რევაზი.

მან ისიც მოგვახსენა, რაოდენ დიდი ყურადღება გამოიჩინა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ იმისთვის, რომ 1976-79 წლებში აშენებული ნავთობის სადენის სიმძლავრე 5% — 7 მილიონი ტონა ნავთობის გამტარიანობისა ყოფილიყო წელიწადში, ვინ გაიყვანდა საქართველოში ამ სიმძლავრის ნავთობსადენს, როცა რესპუბლიკა მხოლოდ სამ მილიონ ტონას იღებდა?!

მოგახსენებთ, ეს ძლიერი ნავთობსადენი ამჟამად გადაეცა საქართველოში ახლად შექმნილ ნავთობის საერთაშორისო კომპანიას. ამით გადაწყდა უზარმაზარი მოცულობის ნავთობის გატარების საქმე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის გავლით, აღმოსავლეთიდან დასავლეთში, რაც ჩვენც მოგვიტანს სიკეთეს და ინვესტორების ინტერესებსაც ერთიორად გაზრდის, ხოლო როცა აშენდება დიდი ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა სამგორის მიდამოებში, ნავთობის მიწოდებას კისრულობენ ინვესტორები.

ს/ს „საქნავთობის“ ხელმძღვანელის ბატონ რევაზის თქმით, მას კიდევ ბევრჯერ მოუწევს ახლადგახსნილი საბადოდან ქართული ნავთობის „დაჭაშნიკების“ შესაძლებლობა, რადგან საქართველოში საკმაო რეზერვია. მისი დიდი ნაწილი კი მომავალ აღმოჩენებს ექვემდებარება.

რევაზ თევზაძის შეუდარებელი ნება, შემოქმედებითი ნიჭი და ენერგია კვლავაც ახალი სიძნელეების დასაძლევად უხმობს სულით ძლიერ ადამიანებს, მენავთობეებს! სწორედ ამის შესახებ წერენ გ. ვახანია და დ. პაპავა წიგნში „მაცოცხლებელი შადრევანი“.

უყვარს წარსული, როგორც ფუძე ჩვენი მომავლისა და სჯერა, დიდ წარსულს დიდი მომავალი ექნებაო.

ქუთაისში დაბადებული და გაზდილი, დიდი სიყვარულით იგონებს მშობლიურ სკოლას, პედაგოგებს, ამბობს: — ისინი იმიტომ მიყვარს, რომ პირველად მათ მასწავლეს, — როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა... და განაგრძობს — ქართველ კაცს ვერც წარსულით და ვერც მომავლით მსოფლიოში ვერავინ გააკვირვებს. მთელი მსოფლიო აალაპარაკა ამ ცოტა ხნის წინ ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა და უკვე აღიარებენ ცივილიზაცია კავკასიიდან მოდისო... ალბათ, სხვა საიდუმლოსთან ერთად იოანე ზოსიმე ამ საიდუმლოს გულისხმობდა, როცა „ქართული ენის ქებასა და სადიდებელს“ წერდა და ამბობდა: — „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არსო“ — როგორც ირკვევა, სწორედ ამ საიდუმლოს მიაგნო პოეტმა და გაუმხილა ქართველ მკითხველს...

ვუსმენ ამ ჭეშმარიტ მამულიშვილს და ვგრძნობ, სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე შეუძლებელია და ყოველივე ზემოთქმული გაძლევს იმის უფლებას, რომ ვთქვა: ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც ასეთი შვილი ჰყავს.

კიდევ ბევრი ღირსების, პროფესიის და თვისებების ჩამოთვლა შეიძლება თქვენს შესახებ, მაგრამ მე მხოლოდ ერთს ვიტყვი: — თქვენ გაქვთ ყველაზე მთავარი — თანდაყოლილი პროფესია და ღირსება, რომელიც ყველა დანარჩენს აერთიანებს და გვირგვინს ადგამს — ერისკაცობა და მამულიშვილობა. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს თქვენისთანა შვილი, ბატონო რევაზ! შვილი, ვისთვისაც სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!

ᲜᲔᲡᲢᲐᲜ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ „ᲓᲐᲭᲐᲨᲜᲘᲙᲔᲑᲔᲚᲘ“



ᲓᲘᲓᲘ ნავთობის ბიზნესი, მსოფლიო მასშტაბით, კარგა ხანია, მხოლოდ ეკონომიკის სფეროს აღარ განეკუთვნება, ის დიდი პოლიტიკის ნაწილია...

საქართველოში აღნიშნული დარგის ხარისხში აყვანის სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის ხელისუფლება, ხოლო პროცესს უზრუნველყოფს სს „საქნავთობი“.

მისი ხელმძღვანელის რევაზ თევზაძის განცხადებით, 2008 წლის საქართველოში მოპოვებული ნავთობი ქვეყნის მოთხოვნილებას სრულიად დააკმაყოფილებს. ამის გარანტიას დიდი ტრადიციების მქონე ორგანიზაციის მიერ უცხოელ პარტნიორებთან ერთად დაგეგმილი მასშტაბური და პერსპექტიული პროექტები იძლევა.

„ბრენდის“ ტიპის, მსუბუქი, საუკეთესო ხარისხის — ასე აფასებენ მსოფლიო ექსპერტები ქართულ ნავთობს, რომლის კუსტარული წესით მოპოვება XIX საუკუნეში დაიწყო, ხოლო სამრეწველო სახე 1930 წელს შეიძინა. ამ წელს დედოფლისწყაროში პირველი საბადოს გახსნას უკავშირდება საკავშირო დაქვემდებარების ტრესტ „საქნავთობის“ დაარსება. მას ნავთობის ძიების, მოპოვების, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფა ევალებოდა.

მოპოვების მცირე მასშტაბების გამო 70-იანი წლების დასაწყისში, „ცენტრმა“ „საქნავთობის“ ყოფნა-არყოფნის საკითხი დასვა, მაშინ „საქნავთობის“ ხელმძღვანელად ახალდანიშნული ბატონი რევაზის პროფესიონალიზმის წყალობით თავისი არსებობის აუცილებლობა უწყებამ 1974 წელს სამგორი-პატარძეულის საბადოზე №7 ჭაბურღილის გახსნით დაამტკიცა, ჭაბურღილი დღე-ღამეში 1000-1000 ტონა წიაღისეულს იძლეოდა.

„საქნავთობმა“ წიაღისეულის მოპოვების პიკს 1981-1985 წლებში მიაღწია. წელიწადში მოპოვებული ნავთობის მოცულობა 3 300 000 ტონას შეადგენდა. ამჟამად მაჩვენებელი თვეში 7000 ტონას არ აღემატება. მისგან 6000 ტონის გადამუშავება სართიჭალაში, სს „საქნავთობის“ ინიციატივით აშენებულ ქართულ-ამერიკულ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანა „გაორში“ წარმოებს.

უცხოელი ინვესტიორების მოპოვება „საქნავთობის“ ხელმძღვანელობამ სსრკ-ს დაშლამდე დაიწყო. მათთან ერთობლივი პროექტების განხორციელებას კი 1992 წლიდან შეუდგა. საძიებო სამუშაოები პოსტსაბჭოურ პერიოდში პირველად ინგლისურმა კომპანიამ „ჯეი-ქეი-ექს ოილ ენდ გეზ“-მა დაიწყო.

1994 წლიდან ინვესტიციები გაფართოვდა და ახლა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სს „საქნავთობთან“ ერთად, წარმატებით მუშაობენ უცხოური გიგანტები: შვეიცარიული „ემპელი“, „ჯეი-ქეი-ექს ოილ ენდ გეზ“, ამერიკული „ფრონტერა“, ინგლისური „რამკო“, კანადური „კანარგო“.

ამჟამად დახვეწის პროცესშია ხელშეკრულება უდიდეს ამერიკულ კომპანიასთან „ანოდარკო“, რომელიც ჯერ კიდევ შეუსწავლელი შავი ზღვის შელფის ათვისებას აპირებს.

სს „საქნავთობის ხელმძღვანელის ბატონ რევაზის თქმით, მას კიდევ ბევრჯერ მიეცემა ახლადგახსნილი საბადოებიდან ქართული ნავთობის „დაჭაშნიკების“ შესაძლებლობა, რადგან საქართველოში ნავთობის საკმაო რეზერვია, მისი დიდი ნაწილი კი მომავალ აღმოჩენებს ექვემდებარება.

◎ ᲐᲚᲘᲐᲜᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან იტყობინებიან, ვიზიტის მიზანი საქართველოსა და სომხეთს შორის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შემუშავებაა.

მათივე ინფორმაციით, დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებიან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი, თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი წაქაძე. ასევე სახელმწიფო სტრუქტურებისა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

სომხურ მხარესთან სამუშაო შეხვედრა ქალაქ დილიჟანში გაიმართება. ქართულ დელეგაციას სომხეთის ტერიტორიული ადმინისტრირების მინისტრის პირველი მოადგილე უმასპინძლებს.

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ ᲣᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, ქართული დელეგაცია განისაზღვრა ერთს პლუს ოთხი ფორმატით, დელეგაციას უხელმძღვანელებს პრემიერი, რომელიც ხელს მოაწერს ხელშეკრულებას და იქნება ოთხი მინისტრი, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შემუშავებაში მონაწილეობდნენ. ეს მინისტრები არიან: საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი.

— უკვე ცნობილია, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა 27 ივნისს ადგილობრივი დროით დილის 09.00 საათზე შედგება. მას დაესწრება 28 ქვეყნის მთავრობის და სახელმწიფოს მეთაური.

ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲔᲚᲘ ᲜᲐᲪᲔᲑᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ სამი მაჟორიტარი დეპუტატი პრემიების გაცემის პროცესს ემიჯნება. თბილისის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, დეპუტატებმა კახა ბროკიშვილმა, შოთა ქურდაძემ და მამუკა გუგეშაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს, რომელიც საკრებულოში ბოლო დღეებში გაცემულ პრემიების საკითხს შეეხო.

როგორც პრესკონფერენციაზე სანზონის მაჟორიტარმა მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადა, საკრებულოში ყოფნის პერიოდში პრემია მას არასდროს არ მიუღია, არ უსარგებლია სამსახურებრივი მანქანით, არ ყოფილა მივლინებებში და ქველმოქმედებასაც საკუთარი სახსრებით აკეთებდა. — მე და ჩემი მეგობრები ვემიჯნებით ამ აჟიოტაჟს, რომელიც არის პრემიებთან დაკავშირებით და ვფიქრობთ, რომ არ არის ეს ნორმალური პროცესი, როდესაც ამხელა პრემიებით სარგებლობს დეპუტატი, ვინც არ უნდა იყოს ის, — დასძინა მან.

მისივე თქმით, წინა წლებში თბილისის საკრებულოში ასეთი დიდი ოდენობით პრემია არასოდეს არ გაცემულა.

დეპუტატმა კახა ბროკიშვილმა კი განაცხადა, რომ იგი საკრებულოში წელიწადნახევარია რაც არის და მასაც არ მიუღია პრემია, არ უსარგებლია სამსახურებრივი მანქანით და არ ყოფილა მივლინებებში. მისივე თქმით, საკრებულოში არის კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ 15-20 დეპუტატი, რომელთაც ასევე არ მიუღიათ პრემიები. თავის მხრივ დეპუტატმა შოთა ქურდაძემ აღნიშნა, რომ ყველა დეპუტატის მოვალეობაა, უანგაროდ მოემსახუროს ხალხს და არავითარი პრემია ამისთვის საჭირო არ არის.

ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ მინისტრმა თეა წულუკიანმა საქართველოს სახელით, „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციას ხელი მოაწერა.

თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ სტამბოლის კონვენციის სახელით ცნობილ დოკუმენტთან მიერთება საქართველოსთვის დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

— ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, მით უფრო, იმ ტრაგიკული მოვლენების ფონზე, როცა, სამწუხაროდ, ძალადობა მეულლეთა მკვლელობით დასრულდა. ხელი მოვაწერეთ კონვენციას, რომელიც ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარებას, ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას და ასევე, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა მომზადებას. ოჯახში მამაკაცის მიერ ქალის ჩაგვრა და ფიზიკური შეურაცხყოფა რიგითი მოვლენა ვერ იქნება. ასეთი დამოკიდებულებების წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს სწორედ სტამბულის კონვენცია, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

კონვენციას იუსტიციის მინისტრმა ხელი სტრასბურგში, ევროსაბჭოს სათავო ოფისში, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან ერთად მოაწერა.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

ისტორიული მითები და დაბნეულობანი

ამბობენ, რომ ისინი, ვინაც ისტორია იცის, განწირულები არიან მისი განმეორებისთვის, და არის მოვლენები, რომელთა განმეორებაც გვინდა, რათა მათ თავი ავარიდოთ ცხოვრებაში. ბევრი ცნობილი „ისტორიული“ ფაქტი მითია, საფუძველი რომ არ გააჩნია. წარმოგიდგენთ რამდენიმე ყველაზე ცნობილ მითს, რომლებიც ადამიანებს წლების, ათეული წლების, ზოგჯერ კი მთელი ასწლეულების განმავლობაში აბნევდნენ...

ამერიკამ თავისუფლება 1776 წლის 4 ივლისს მოიპოვა

სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციას ხელი მოაწერეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ამერიკის სათავეში იდგნენ 1776 წლის 4 ივლისს.

არადა, ომი დამოუკიდებლობისათვის გაგრძელდა კიდევ შვიდი წელი, მანამდე, სანამ 1783 წლის 3 სექტემბერს ამერიკამ მიიღო ინგლისისაგან დამოუკიდებლობა. ამ დღეს ბრიტანეთის ხელმწიფემ გეორგ III-მ და ამერიკის სახელმწიფოს ლიდერებმა ხელი მოაწერეს საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულებას.

მიკი-მაუსი უოლტ დისნეიმ დახატა



მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პერსონაჟის თაგუნა მიკი-მაუსის შექმნას უოლტ დისნეის მიაწერენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიკი — დისნეის სტუდიის ერთ-ერთი პირველი ანიმატორის — აბ ივერკის ნაწარმია.

დისნეის ყოველთვის ჰქონდა პრობლემები იმ პერსონაჟების დახატვასთან დაკავშირებით, რომლებმაც ის სახელგანთქმული გახადა. მისდა საბედნიეროდ, აბ ივერკსი იყო ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ანიმატორი — პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელშიც მიკი-მაუსი ჩნდება (1928 წ.), მან ორ კვირაში დახატა (დღეში დაახლოებით 700 ნახატი).

თუმცა, თავად დისნეისაც თავისი უნდა მივუზღათ — სწორედ მან მისცა თაგუნას ხმა, გაახმოვანა იგი, როდესაც ხმიანი კინემატოგრაფის ერა დაიწყო.

შექსპირმა დაწერა ისტორია ჰამლეტზე

უილიამ შექსპირი — ყველა დროისა და ხალხის ცნობილი დრამატურგი — ყოველთვის როდი წერდა ორიგინალურ პიესებს.



ზოგჯერ ის ძველი ისტორიების ადაპტირებას ახდენდა. „ჰამლეტის, დანიის პრინცის ტრაგედია“ (1603) — შექსპირის ერთ-ერთი საუკეთესო პიესა — ემყარებოდა ძველ სკანდინავიურ გადმოცემას. მართალია, ჩვენ ვერ მივიღეთ ამ ისტორიის ორიგინალური ვერსია, მაგრამ იგი მაინც ყველა შესაძლოს შორის ყველაზე ზუსტია.



ედისონმა ელექტროლამპა გამოიგონა

თომას ედისონი, რომელიც ცნობილია როგორც ერთ-ერთი უდიდესი გამომგონებელი, დღემდე გვაოცებს თავისი 1093 პატენტით. გასაოცარია, ერთი რამ რომ არ იყოს: დაპატენტებულ გამოგონებათა უმრავლესობა მეცნიერს არ ეკუთვნის. ისინი გამოიგონეს უცნობმა მუშებმა, მისი ყველაზე ცნობილი გამოგონება კი — ელექტროლამპა — მის ლაბორატორიასაც კი არ განეკუთვნებოდა.

ედისონის გაჩენამდე ორმოცი წლით ადრე ინგლისელმა მეცნიერმა სერ ჰემფრი დეივიმ გამოიგონა ელექტროდენი. ედისონის მიღწევა კი იყო ის, რომ შეარჩია სწორი ნივთიერება, რომ შუქი ყოფილიყო 12 საათზე მეტხანს, რასაც მანამდე ვერ მიაღწია ვერც გამომგონებელმა და ვერც სხვა ბევრმა მეცნიერმა მის შემდეგ.

ვან გოგმა ყური მოიჭრა

ვან გოგმა, რომელიც ცნობილი იყო სიღარიბით, ვინაც თავისი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ერთი ტილო გაყიდა, გოგენთან დავაში, თავის თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, მოიჭრა ყური. მიუხედავად მისი ტრაგიკული დასასრულისა და მისი სურათების ცუდი გასაღებისა, გასაოცარია ის ფაქტი, თუ რატომ არ მოკვდა მხატვარი შიმშილით, როდესაც ასეთ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

საქმე ისაა, რომ ვან გოგი სურათებს ხატავდა თავისი ცხოვრების რვა წლის განმავლობაში, დროის უმეტეს ნაწილს ის პედაგოგობასა და ნახატების გაყიდვას უთმობდა. ამას გარდა, მას მთლიანად კი არ მოუჭრია თავისი ყური, არამედ მისი მხოლოდ მარცხენა ბიბილო, რაც სულაც არაა ისეთი ტრაგედია. ასე არაა განა?

მარია ანტუანეტამ თქვა: „მაშინ ჭამონ ღვეზელები“

1776 წელს ჟან-ჟაკ რუსომ აღწერა ამბავი, რომელიც მოხდა 25 წლით ადრე: დიდმა პრინცესამ (სახელი უცნობია) უპასუხა ცნობას იმის შესახებ, რომ ხალხს საკვები პურიც კი არ აქვსო: „მაშინ ჭამონ ღვეზელები“. როდესაც ამის შესახებ დაიწერა, მარია-ანტუანეტა 11 წლის ბავშვი იყო. რევოლუცია მხოლოდ 23 წლის შემდეგ დაიწყო.

მითი იმის შესახებ, თითქოს მან წარმოთქვა ეს ცნობილი სიტყვები, იყო მხოლოდ იმ ფრანგი რევოლუციონერების პროპაგანდა, რომლებმაც მისი ფრანგი ხალხის უფლებებისადმი დედოფლის ინდიფერენტულობის გამოხატვა მოინდომეს.

უოლტერ რეილიმ შემოიტანა ინგლისში თამბაქო და კარტოფილი

სერ უოლტერ რეილი ინგლისის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლოებით მოცული ფიგურაა. ლამის ყოველი ფაქტი, რომელიც მის სახელგანთქმულობაზე მეტყველებს, სიცრუეა. იყო იგი ლამაზი? ჩაწერილი მოგონებებისა და თანამედროვე პორტრეტების თანახმად (მისი იმდროინდელი პორტრეტები ვერ უნახავთ), ის ხიბლავდა თავად დედოფალ ელისაბედ I და ქალთა მაამებლად ითვლებოდა.

დააფინა მან თავისი ლაბადა გუბეზე, რათა დედოფალს გაევლო? არა გვგონია, ეს სიმართლე იყოს. და რაც მთავარია, ის ახალი სამყაროდან არ დაბრუნებულა კარტოფილითა და თამბაქოთი ინგლისისთვის. მართალია, წარმოდგენას კარტოფილზე 1586 წელს რეილის მიაკუთვნებენ, მაინც 1585 წელს კარტოფილი პირველად იტალიაში მოიწიეს და იქიდან სწრაფად გავრცელდა მთელ ევროპაში (და, რასაკვირველია, ლა-მანშის გავლით ინგლისშიც).

და მართალია, მწეველები მთელ ევროპაში თავიანთ დამღუპველ ჩვეულებაში სერ რეილის სდებენ ბრალს, თამბაქო საფრანგეთში 1560 წელს ჯონ ნიკოტმა (რის აღსანიშნავად ნიკოტინი უწოდეს მას) დანერგა. თამბაქო ინგლისში საფრანგეთიდან მოხვდა, და სულაც არა ახალი სამყაროდან.

მაგელანმა მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა



ფერნან მაგელანზე ყველამ იცის ორი რამ: ის, რომ იგი იყო პირველი, ვინც დედამიწას შემოუარა გარს, და რომ ის მოკლეს აბორიგენებმა ფილიპინებზე მისი ისტორიული მოგზაურობის დროს.

რა თქმა უნდა, ეს ორი რამ ერთმანეთს უპირისპირდება. მაგელანმა გზის მხოლოდ ნახევარი გაიარა, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის დასრულება კი დაუტოვა სარდლის მოადგილეს ხუან სებასტიან ელკანოს, რომელმაც დაამთავრა კიდეც ეს გზა.

ნაპოლეონი დაბალი იყო

ბევრს სჯერა, რომ ნაპოლეონის სახელისუფლო ამბიციები გამოწვეული იყო მისი არასრულფასოვნების კომპლექსით პატარა სიმაღლის გამო. მაგრამ ეს ასე არაა. სინამდვილეში ნაპოლეონს უწოდეს „პატარა კაპრალი“. მისი სიმაღლე კი იყო 5 ფუტი და 7 დიუმი (170 სანტიმეტრი) — ეს XVIII საუკუნის საფრანგეთის საშუალო მცხოვრებზე ბევრად მაღალია.

საიდან გაჩნდა ზედმეტი სახელი? მისი სამხედრო კარიერის დასაწყისში ჯარისკაცები დასცინოდნენ მას შედარებით დაბალი წოდების გამო. იგი მას დარჩა საფრანგეთის მართვის პერიოდშიც კი.

კაპიტანმა კუკმა ავსტრალია აღმოაჩინა

ბევრი ავსტრალიელი არ დაეთანხმება ამას და იტყვის, რომ კუკამდე, რომელიც სიდნეიში 1770 წელს ჩავიდა, იქ იყვნენ ჰოლანდიელები აბელ ტასმანი და დირკ ჰარტოგი, აგრეთვე ინგლისელი მეკობრე უილიამი დამპირი. და, რასაკვირველია, დაახლოებით 50 ათასი წლის წინათ ავსტრალია თავად ადგილობრივმა მკვიდრებმა აღმოაჩინეს.

როგორც ეტყობა, კუკი იყო პირველაღმომჩენი პირველი თეთრკანიანი ჩასახლებულებისათვის, თანაც არა კაპიტნის, არამედ ლეიტენანტის ჩინით. ასე რომ, მისი თუნდაც ეს წოდება მოითხოვს შესწორებას.

კოლუმბმა დაადასტურა, რომ დედამიწა მრგვალია

ამერიკელი მწერალი ვაშინგტონ ირვინგი, რომელიც კოლუმბიდან 500 წლის მერე ჩავიდა ამერიკაში, ამტკიცებდა, რომ ცნობილი მკვლევარი წავიდა თავის მოგზაურობაში, რათა დაემტკიცებინა, რომ დედამიწა მრგვალია, და გაეფანტა რწმენა ჩვენი პლანეტის სიბრტყის შესახებ.

მთელი საქმე კი ისაა, რომ ევროპის ყოველმა მცხოვრებმა, კოლუმბის თანამედროვემ, იცოდა, რომ დედამიწა ბრტყელი არაა. ამას გარდა, კოლუმბს არ შეეძლო ემტკიცებინა, დედამიწის მრგვალი ფორმის შესახებ თუნდაც იმიტომ, რომ თავადაც არ სჯეროდა ეს.

ის ამტკიცებდა, რომ დედამიწას მსხლის მსგავსი ფორმა აქვს და რომ აზია მართლაც უფრო ახლოა, ვიდრე ეს ვინმეს შეიძლებოდა წარმოედგინა, მაგრამ ამაშიც კი ის მართალი არ იყო.

ჯორჯ ვაშინგტონი არ ყოფილა ამერიკის პირველი პრეზიდენტი

ყველამ იცის, რომ ჯორჯ ვაშინგტონი იყო პირველი შეერთებული შტატების 44 პრეზიდენტიდან. ისტორია სხვა რამეზე გვეუბნება. ამერიკაში რევოლუციის დროს კონტინენტურმა კონგრესმა პირველ პრეზიდენტად რეიტონ რანდოლფი აირჩია.

შემდეგი ნაბიჯი იყო კონტინენტური არმიის შექმნა დიდი ბრიტანეთისაგან თავდაცვისათვის და ჯორჯ ვაშინგტონის დანიშვნა მის მეთაურად. რენდოლფი 1781 წელს შეცვალა ჯონ ჰენკოკმა, რომელიც პრეზიდენტი იყო ამერიკის ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

ბრიტანეთის ჯარებზე გამარჯვების შემდეგ იორკტაუნთან ჰენკოკმა მას გაუგზავნა მისალოცი წერილი. ვაშინგტონის პასუხი შეერთებული შტატების მისამართით იყო. რვა წლის შემდეგ ომის პატივცემული გმირი ვაშინგტონი თავად გახდა საყოველთაოდ არჩეული ამერიკის პრეზიდენტი – მაგრამ სინამდვილეში, გულახდილად რომ ვთქვათ, ანგარიშით მხოლოდ მეთხუთმეტე გახლდათ.

ძველებრაული ფრესკა

შესანიშნავი პოეტი და მოქალაქე რეზო ამაშუკელი, ქვეყნის პრობლემა-სატკივრით გულგასენილი და სამშობლოს ინტერესების დასაცავად მარად მახვილშემართული ეს ჭეშმარიტი პატრიოტი, 24 ივნისს 78 წლისა გახდება.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, პოეტის ნიჭის უამრავ თაყვანისმცემელთან ერთად, ულოცავს ბატონ რეზოს ამ თარიღს, ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებითს წარმატებებს უსურვებს მას და მკითხველს სთავაზობს მრავალთაგან მის ერთ საუკეთესო ლექსს.

კალამი და მახვილი არასოდეს არ დაგჩლუნგებოდეთ, ბატონო რეზო!

რახილი

— რახილ,
რა ხელმა გადმოგხატა
ძველი ფრესკიდან,
ვნების ევავილი, აკრძალული,
შენ ვინ გაჩვენა?!
...როს ცისკრის ვარსკვლავს
იისფერი ცეცხლი ეკიდა,
მაშინ დაგწყევლა სიყვარულმა
და შეგაჩვენა.
— რახილ,
გახედე: იმგვარივე მზე არის დღესაც!
რახილ, რა ხელმა მოგაჩეჩა
ძველი თალმუდი?!
ამღვრეულ კუროს —
ზოდიაქოს გაჰყევი შენსას —
და მორჩილების სახლსა შინა
აღარ დაბრუნდი!
ისმის ღიღინი მორწმუნეთა
სინაგოგიდან,
შენ კი,
შენ დღესაც
ამქვეყნიურ ცოდვით დათვრები.
— რახილ,
მოახლით მოედანზე გავლა მოგინდა,
რომ კვლავ იხილო,
მამრის ჯილაგს ვით ენატრები.
ისევ შხივიან ჩახსნილ მკერდში
მკვრივი ატმები,
ისევ კრუტუნებს ფოცხვერივით
შენში მახილი...
— რახილ! —
აღმოხდათ მოსვირეთ.
„მოდის რახილი“
და ვაი იმას,
ვისაც ერთხელ შეუვარდები!
ვაი,
მომწვანო ზურმუხტები —
შენი თვალები!
შენთან ეგვიპტის დედოფალიც
იეო ბოგანო.
მაგრამ სიბერეს
შენც კი ვერსად დაემალები,
— რახილ,
ღვთის წურომავ, ფესადგმულო ცოდვის გორგალო!
— რახილ,
ვინ მოგუავს მშვენიერი
მოკლე საბელით,
ვინ არის იგი,
დალალებით წითლად ნაფერით,
შენი გულისთვის
თუ კაენმა მოკლა აბელი,
ო, მაშინ
უნდა ეპატიოს სულეველაფერი.
— რახილ,
მითხარი
ვისთვის გინდა მუ მსხმოიარე,
ვნების მტევნებით,
მაცდუნებელ თვალთა ხამხამით?
მოდიხარ,
სურვილს ხანმარივით მოაბრიალებ,
და მაღალ მკერდზე
მსხვილ ალმასებს გააქვთ ხარხარი.
— რახილ,
მითხარი,
რა ხილია შენი თანმხლები,
მხრებზე ხავერდის
ხენდროსფერი წამოსასხამით?
ხმაურობს ხალხი
ხვავრიელად დახრილ დახლებით,
რაბინს ქათმებით ახორხლილი
მისდევს ხახამი...
— რახილ,
მითხარი,
ვისთვის გინდა
მსხვერპლი ახალი,
რისთვის გაზმორებს ზეზეურად
სიზმართ მორევი?
ეშმაკმა უწყის
საიდუმლო შენი ზრახვანი!
ქალი არ არის ქვეყანაზე
შენი მომრევი!
ჩაიარა და
თან წაიღო მთელი უბანი,
მშვენიერ მხევლებს შურით დარჩათ
თვალი დათხრილი...
შეუვარებული,
ამაყი და თავისუფალი,
ცოდვილი სულის წარსაწყმედად
მიდის რახილი.

1986.

საქართველოს რესპუბლიკა

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ცხინვალმა პირველმა აღიარა „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობა

ჟენევის მოლაპარაკებების 28-ე რაუნდი სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დელეგაციების დემარშით დამთავრდა

სამხრეთმა ოსეთმა აღიარა „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ“. სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელმა ლეონიდ თიბილოვმა ხელი მოაწერა შესაბამის ბრძანებულებას 18 ივნისის საღამოს მას შემდეგ, რაც მას მიმართეს სამხრეთი ოსეთის დეპუტატებმა თხოვნით, აღიაროს ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობა უკრაინისგან.

„ხალხის ნების გამოხატვის გათვალისწინებით და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართვის შესაბამისად სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტის აღიარების შესახებ, რასაც მხარს უჭერს პარლამენტი... ვბრძანებ აღიარებული იქნეს ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“, — ნათქვამია თიბილოვის ბრძანებულებაში. მან ამავე დროს დაავალა სამხრეთი ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, დაიწყოს მოლაპარაკება დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკასთან.

ადრე სამხრეთი ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების გეგმები. 11 ივნისს ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკამ მიმართა მსოფლიოს 13 სუბიექტის ხელმძღვანელებს, მათ შორის აფხაზეთსაც, თხოვნით, აღიარონ მისი დამოუკიდებლობა — ეს გააკეთა მხოლოდ სამხრეთმა ოსეთმა.

სოხუმს ჯერ არ მიუღია ოფიციალური გადაწყვეტილება, თუმცა, 19 ივნისს აფხაზეთის პოლიტიკურმა პარტიამ „ამცახარამ“ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: **„იმის გამო, რომ უკრაინის ხელისუფლება ახორციელებს საკუთარი ხალხის გენოციდს“, პარტია „ამცახარას“ წევრებს „არ შეუძლიათ უყურადღებოდ დატოვონ იმ ხალხის ბედი, რომელიც უკრაინის ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი პოლიტიკის მძევლად აღმოჩნდა“ და მხარს უჭერს „ლუგანსკის რესპუბლიკის მოქალაქეთა ნებას, რაც გამოიხატა „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის რეფერენდუმზე დამოუკიდებლობის შესახებ“.**

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს რუსეთის გარდა, აღიარებს მხოლოდ სამი ქვეყანა — ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ. მსოფლიოს ყველა დანარჩენ სახელმწიფოს ეს რეგიონები საქართველოს ტერიტორიად მიაჩნიათ.

ჟენევის მოლაპარაკებანი

ცხინვალი და სოხუმი ჟენევის მოლაპარაკებაზე გაერთიანდნენ დემარშით საქართველოს წინააღმდეგ. მოლაპარაკების 28-ე რაუნდი 17-18 ივნისს გაიმართა. კერძოდ, მხარეების უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ 5 ივნისს გაერომ მიიღო საქართველოს მიერ შეთავაზებული რეზოლუცია, რომელშიც კიდევ ერთჯერ არის ხაზგასმული იძულებით გადაადგილებული ყველა პირის უფლება — დაბრუნდნენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. რეზოლუციას მხარი 69 ქვეყანამ დაუჭირა. რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცა 13 ქვეყანამ, 79-მა — თავი შეიკავა.

2008 წლიდან გაეროს გენერალურმა ასამბლეამ უკვე ექვსჯერ მიიღო ანალოგიური რეზოლუცია (სარეკომენდაციო ხასიათისა) გადაადგილებულ პირთა დაბრუნებლობის შესახებ. ეს ბოლოს 2013 წლის ნოემბერში მოხდა. ამ ინიციატივას ეწინააღმდეგებოდნენ ოფიციალური ცხინვალი, ოფიციალური სოხუმი, ოფიციალური მოსკოვი. ეს ბოლოს 2013 წლის ნოემბერში მოხდა. ამ ინიციატივას ეწინააღმდეგებოდნენ ოფიციალური ცხინვალი, ოფიციალური სოხუმი, ოფიციალური მოსკოვი.

◎ გამოუსწორებელი შეცდომა

დამანგრეველი კატასტროფა, რომელიც შეიძლება თავს დაგვატყდეს

მიწისძვრა არ კლავს ადამიანებს, მათ ცუდად აშენებული შენობა ხოცავს

ასეთი არც თუ სასიამოვნო განცხადება გაკეთდა ახლახან თბილისში, ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიც მსოფლიოს კატასტროფულად გააქტიურებული მიწისძვრებისა და მშენებლობის სეისმოუსაფრთხოების თემებზე სამსჯელოდ და საჭირბოროტო პრობლემების გადასაწყვეტად ევროპის 25 ქვეყნის ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები შეიკრიბნენ. დიახ, ფორუმი გახლდათ ფრიად წარმომადგენლობითი და პრობლემურად ფრიად მასშტაბური, მაგრამ რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, საქართველოში ბევრი სხვა ღონისძიების დარად, ისიც ჩვენი კოალიციური ხელისუფლებისა და მედიის ყურადღების მიღმა დარჩა. ხსენებული კონფერენციის მონაწილე „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ასოციაციის თავმჯდომარე, ექს-პარლამენტარი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ანზორ საკანდელიძე დავითანხმეთ, ამ ფორუმზე დასმულ უმტკივნეულეს საკითხთა და პრობლემათა ირგვლივ საკუთარი პოზიცია გამოეხატა.

— ნახევარი საუკუნეა, — განაცხადა ანზორ საკანდელიძემ, — საქართველოში ასეთი წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმი არ ჩატარებულა, რაშიც უდიდესი წვლილი საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების თავმჯდომარეს იური სვანიძეს მიუძღვის. ჩემთვის დამთრგუნველი აღმოჩნდა სურათი, რომელიც წარმოჩინდა კონფერენციაზე — თურმე, რა სავალალოდ გაგვინადგურებია ერთ დროს მსოფლიოში ცნობილი უნიკალური ქართული სეისმოლოგიური სკოლა. ეს არის, ჩემი აზრით (და არა მარტო ჩემი აზრით) უდიდესი ეროვნული ტრაგედია და გამოუსწორებელი დანაშაული მოსალოდნელი კატასტროფული დამანგრეველი მიწისძვრებისათვის განწირული ჩვენი მომავალი თაობების წინაშე, რისთვისაც მათ პასუხი უნდა აგონ კანონის მთელი სიმკაცრით. ამ კონფერენციამ ერთხელ კიდევ ნათლად დაგვანახვა, რომ ქვეყანა და ხალხი აბსოლუტურად დაუცველია მოსალოდნელი დამანგრეველი მიწისძვრებისგან. ის, რაც ბოლო 20 წელიწადია ხდება ქართულ მშენებლობაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გააუქმეს მშენებლობის სამინისტრო, მომავალში წარმოუდგენელი მასშტაბების ნგრევებითა და მოსახლეობის მსხვერპლით ემუქრება საქართველოს.

— ბატონო ანზორ, თქვენ ზედმეტად ხომ არ აშინებთ ხალხს? თქვენ ადრეც ხშირად ამბობდით და წერდით, რომ თბილისი უნდა გამოვაცხადოთ სეისმური უბედურების ზონად, რომ ჩვენი დედაქალაქი შეიძლება გახდეს ერთი დიდი საძმო სასაფლაო. ცოტა ზედმეტი ხომ არ მოგდით, ამ დამშეულ ხალხს განა კიდევ დაშინება უნდა?

— მე არავის არ ვაშინებ, და არც არაფერს ვაზვიადებ, მხოლოდ იმ სეისმურ საფრთხეებზე ვლაპარაკობ, რაც რეალურად ქვეყანას ემუქრება. ამას ვაკეთებ, პირველ რიგში ხელისუფლების გამოსაფხიზლებლად, მაგრამ მის გამოფხიზლებას საშველი არ დაადგა. ჩვენს მეზობელ სომხეთში კი, რომლის სეისმოლოგი ასპირანტები ჩვენგან სწავლობდნენ და ჩვენი დახმარებით იცავდნენ სამეცნიერო ხარისხებს, ხელისუფლებამ ყურად იღო ასეთი კრიტიკა და უმოკლეს დროში ფანტასტიკური ექსტრემალური ღონისძიებანი განახორციელა. დაახლოებით 10 წლის წინათ ჩემი სომეხი კოლეგა მიქაელ მელქუმიანი წერდა, რომ 7-ბალიანი მიწისქვეშა ბიძგების შემთხვევაში ერევნისგან აღარაფერი დარჩება, დაიღუპება დაახლოებით 300 ათასი კაცი და დაინგრევა შენობა-ნაგებობათა 80 პროცენტი. ამ „დაშინებას“ რით უპასუხა სომხეთის ხელისუფლებამ? მშენებლობის სამინისტრო და სამშენებლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ჩვენსავით კი არ გააუქმა, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერა და პარლამენტის გადაწყვეტილებით შექმნა ახალი საჯარო სამსახური „სომხეთის სეისმური დაცვის სახელმწიფო სამმართველო“, რომელიც საზღვარგარეთ მუდმივად ამზადებს უმაღლესი რანგის სომეხ სეისმოლოგებს და ამავე დროს უცხოეთიდან ჩამოაქვს უახლესი ტექნოლოგიები, ისეთებიც კი, რომელიც მიწის ქერქიდან წამოსულ მაღალბალიან მიწისძვრებს ანელებს და შენობათა ფუძე-საძირკვლებს გადაეცემა 2-3 ბალით ნაკლები სეისმოდარტყმები. ასე რომ, ადრე თუ სომხები ჩვენგან სწავლობდნენ სეისმოსიახლეებს, ახლა დადგა დრო, ჩვენ ვისწავლოთ მათგან.

— კეთილი, ბატონო ანზორ, მაგრამ ამდენს რომ ლაპარაკობთ კატასტროფულ და მომაკვდინებელ სეისმოსაფრთხეებზე, ხომ ვერ დაგვისახელებდით კონკრეტულად მაინც რა საფრთხეებზეა საუბარი?

— ასეთი საფრთხე უამრავია და მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით. ესენია უხარისხო საშენი მასალები — ბეტონი და არმატურა, სეისმოსაშიში ტექნოლოგიები, ლაბორატორიული შემოწმებებისა და ტექნიკური ზედამხედველობის აბსოლუტური უგულებელყოფა. რაზეა საუბარი, როცა 25 წელიწადია, საქართველოში აშენებული არც ერთი შენობა, მათ შორის, საცხოვრებელი კორპუსები, საპროექტო სეისმოდეგობაზე არ შემოწმებულა? ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო თბილისში ფალსიფიცირებული ბეტონის ბუმი, რომელსაც ხელისუფლებასთან შეკრული არაპროფესიონალი, ფალსიფიკატორი ბეტონის მწარმოებლები ეწეოდნენ და დემპინგური ფასებით ბეტონის რეალურ მწარმოებლებს აკოტრებდნენ. 10 წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე თბილისი შენდებოდა ამ დაბალმარკიანი უხარისხო ბეტონებით. ეს თვალნათლივ გამოჩნდა 2004 წელს ჩატარებული ერთდღიანი შემოწმებითაც (მეორე დღეს ობიექტებზე აღარ შეგვიშვეს!), როცა 40 მშენებარე და ახლადაშენებული მაღლივი საცხოვრებელი კორპუსების მზიდ რკინაბეტონის კონსტრუქციებში სიმტკიცეები ყველგან იყო 300 მარკის ნახევარი და უფრო ნაკლები, ხოლო მცხეთის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ კორპუსში, წარმოუდგენლად დაბალი — 80. როცა თბილისის საკრებულოს სხდომაზე შემოწმების შედეგები იხილებოდა, მე მოვითხოვე უკვე აშენებული ამ საცხოვრებელი კორპუსის დანგრევა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი წინადადება არ მიიღეს და დღეს ამ კორპუსში ხალხი ცხოვრობს(!).

20 წელიწადზე მეტია, მთელი საქართველო, ძირითადად, შენდება ლაბორატორიულად შეუმოწმებელი, ფალსიფიცირებული, და რაც ყველაზე უფრო საკვალალოა, უკვე კოროზიადაწყებული ჟანგიანი არმატურით. დაწყებული კოროზია კი გრძელდება დაბეტონებულ რკინაბეტონის კონსტრუქციებში, ჭამს არმატურას, თანდათან ამცირებს მის კვეთს და კატასტროფულ საფრთხეებს უქმნის შენობის მზიდუნარიანობას და სეისმომედეგობას. უბედურება ისაა, რომ საქართველოში არც საბაჟოზე და არც სამშენებლო ობიექტებზე არ ხდება არავითარი ლაბორატორიული შემოწმებები, მთელი პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ასეთი ფალსიფიცირებული, კოროზიადაწყებული არმატურები ათეული წლებია შემოედინება ქვეყანაში, ღირს შედარებით იაფი, ამიტომ არ აკლია მომხმარებელი და ასეულ ათასობით ტონა უკვე ჩადებულია მშენებლობაში!

რაც შეეხება ტექნოლოგიებს. ოც წელიწადზე მეტია, თბილისში საცხოვრებელი კორპუსები ძირითადად შენდება კარკასული და ურიგელო სართულშუა გადახურვებით. 1989 წლის სომხეთისა და 1999 წლის თურქეთის ცნობილი მიწისძვრების დროს ყველაზე დიდი ნგრევები და მსხვერპლი სწორედ ასეთმა კარკასულმა შენობებმა განიცადეს. მაგალითად, სომხეთის ქალაქ ლენინაკანში დაინგრა კარკასული შენობების 98 პროცენტი. ამიტომ შეარქვეს ასეთ შენობებს „მკვლელი შენობები“. სამწუხაროდ, მშენებლები 2010 წლის 1 იანვრიდან მიღებულ კანონსაც კი არ ემორჩილებიან, რომელიც სეისმური დიაფრაგმებისა და სიხისტის ბირთვების ძველი ტექნოლგიების გამოყენებით სართულიანობას თორმეტამდე ზღუდავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ტექნოლოგიებით აშენებული 12 სართულზე მეტი უკანონოა და უნდა მოიხსნას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ასეთი ნაგებობები დღევანდელი საპროექტო 8 ბალის ნაცვლად 7 ბალზეა გაანგარიშებული, ისინი გაცილებით საშიში სეისმოსაფრთხეების მატარებელნი არიან.

— ერთიც მინდა, გკითხოთ, ბატონო ანზორ, ასეთ კოშმარულ პროგნოზებს მარტო თქვენგან რომ ისმენს ხალხი, სხვები რატომ არიან დამუნჯებულნი?

— ყველა ერიდება ზედმეტ თავის ტკივილს და გართულებებს, პირველ რიგში ხელისუფლებიდან, რომელიც პრაქტიკულად არაფერს აკეთებს კარს მომდგარი სეისმოუბედურებებისაგან წინასწარ თავის დასაცავად. ასეთ პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს მთელი მსოფლიო, გამონაკლისი მხოლოდ საქართველოა. არადა, ნამდვილად შემაშფოთებელია პროგნოზი, რომელსაც ცნობილი გეოფიზიკოსი, აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე აკეთებს. „რღვევა მიდის მთელ კავკასიონზე, აცხადებს მეცნიერი, — და პოტენციურად მოხდება 9-ბალიანი მიწისძვრა... არაბეთის ფილაქანი აწვება კავკასიას, ის წელიწადში 15 სანტიმეტრით გადმოადგილდება ჩრდილოეთისკენ და ეჯახება ევრაზიის ფილას. მიწოლის შედეგად ან მთებმა უნდა აიწიოს, ან მოხდეს შეცოცება, რაც იწვევს მიწისძვრას... სტამბოლი ინტენსიურად ემზადება დამანგრეველი მიწისძვრისთვის, ამაგრებენ შენობებს, ანგრევენ ავარიულ ნაგებობებს, ზღვაში კუნძულებზე სპეციალური სეისმოსადგურები მოაწყვეს, ჩვენი სპორტის სასახლისოდენა დარბაზში განთავსებულია დიდი მონიტორები, სადაც ყოველ წამს აკვირდებიან არაბეთის ფილის მოძრაობას... მიწისძვრა არ კლავს ადამიანს, ხოცავს ცუდად აშენებული შენობა“.

სრული ჭეშმარიტებაა, მიწისძვრა არ კლავს ადამიანებს, ხოცავს ცუდად აშენებული შენობა. ჩვენთან კი აგერ 20 წელიწადზე მეტია, ვაშენებთ ცუდად კი არა, ძალიან ცუდად, განსაკუთრებით სეისმომედეგობის თვალსაზრისით. საშველი არც დაგვადგება, თუ საქართველოში არ აღვადგენთ მთელ მსოფლიოში სეისმოუსაფრთხეობისა და სეისმომედეგობის მთავარ გარანტად აღიარებულ მშენებლობის სამინისტროს, რომელიც არსებობს ყველა ქვეყანაში და უნდა იარსებოს საქართველოშიც. ეს უნდა გაკეთდეს აუცილებლად, თანაც დროულად, თუ გვინდა, რომ მომავალმა თაობებმა წყევლა-კრულვით არ გაგვიხსენონ, რისი ღირსებიც ნამდვილად ვიქნებით.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **საქართველოს და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრა ფრედ დასრულდა.**

რასაკვირველია, მეგობრობამ გაიმარჯვა.

● **ქართველი კომენტატორი — სამწუხაროა, რომ დროგბას ასაკი ემატება ყოველწლიურად.**

● **ბატონო ილჰამ, რომელმა მებაჟემაც ირმა ნადირაშვილი გაჩხრიკა, ან ჰეიდარ ალიევის გაბრწყინებული ორდენით დააჯილდოვეთ გამოჩენილი მამაცობისთვის ან ოტოლარინგოლოგთან გაუშვით სამკურნალოდ.**

● **ნაწილ-ნაწილ რო განვაბაჟოთ. ჯერ ზურა, მერე ირმა და მერე თავიანთივე წებოთი შევაწებოთ, არა?**

● **ნეტა როგორ პოულობენ ეს კოტდ' ივუარელები ერთმანეთს მწვანე ბალახზე მწვანე ფორმებში?**

● **სოლოლაკიდან ქსივა მოვიდა, რომ პირველი ტაიმი იქნება რთული, მეორე ტაიმი — საგრძნობლად უკეთესი. ნახევარფინალში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკეთესობას საკუთარ თავსა და საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს. ფინალი იქნება ძალიან კარგი.**

● **დღევანდელი მოცემულობა: — კომპარტიიდან ალმოცენებული მოქალაქეთა კავშირის ნაციონალური ოცნება.**

● **ბიჯოო, ზეწოლა ნამეტანი ცუდი სიტყვაა, ბარემ სექსი თქვით, ოღონდ კახურადა.**

● **თავი მაქვს მოსაკლავი! ირაკლის, ჩვენსას, შიხიაშვილს, თურმე ხელფასი არ ჰყოფნის და პრემიებით არჩენს ოჯახს!**

ირაკლი, ტოტალიზატორში რომ სცადო ბედი, არა? Не везет в зарплате, повезет в игре!

● **ჩვენო, თუ მილიონს ჩემ ტო არ გვექნება ხელფასიო, შრომისუნარიანობის ხარისხი დაეცემაო. შე უსინდისო, რას აკეთებ ეგეთს? ომებში მივდიოდით და კაპიკი არც აგვიღია და არც მოგვითხოვია. კოდორში კიდე, დღეში 30 ლარი გვერგებოდა,მაგრამ 30 თეთრი არ მიგვიღია. მენტალობით მექრთამეები ხართ, თუ ერთი ტომარა ხელფასი არ მოგცათ მარჩენალმა?**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ მუნდიალი – 2014

ეძებეთ გუნდის ლიდერი!

მსოფლიოს აწ უკვე ყოფილი და ევროპის ჯერაც მოქმედი ჩემპიონის ესპანეთის ბედს, ეტყობა, ფეხბურთის სამშობლოს – ინგლისის ნაკრებიც გაიზიარებს და ჯგუფური რაუნდის დასრულებისთანავე დატოვებს ბრაზილიურ ფორუმს. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც როი ჰოჯსონის გუნდი ურუგვაისთანაც იმავე ანგარიშით დამარცხდა, როგორითაც მუნდიალის სტარტზე იტალიელებთან შერცხვა – 1:2.

არადა, კუნძულელები თითქოს არც ბრძოლისუნარიანობით ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს, არც სტატისტიკური მონაცემებით, მათ შორის – სახიფათო მომენტებით (მაგალითად, ერთ ეპიზოდში რუნის თავური დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ძელმა მოიგერია, მაგრამ ბრიტანელებს აკლდათ მთავარი – ლიდერი, რომელიც პარტნიორებს ისე გაუძღვებოდა ყოფნა-არყოფნის დატვირთვის მქონე მატჩის ბრძოლის ველისკენ, როგორც ეს ახალგამოჯანმრთელებულმა ლუის სუარესმა გააკეთა.

დიახ, წლევანდელი პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელმა „დუბლი“, რომ იტყვიან, თამაშთამაშ შეასრულა კავანისა და, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ეღერდეს, ჯერარდის ასისტენტობით, რომელმაც „ლივერპულში“ თავისი თანაკლუბელი გადამწყვეტი გოლის გატანისას უნებლიეთ შედეგიანი გადაცემით მოამარაგა. დავძენთ, რომ სამხრეთამერიკელებმა ეს გამარჯვება წინა მუნდიალის გმირის – დიეგო ფორლანის გარეშე მოიპოვეს, რომელიც მათმა თავკაცმა ოსკარ ტაბარესმა რატომღაც შეხვედრის ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე გაამწესა.

„გ“ ჯგუფი. კოლუმბია – კოტ დივუარი 2:1, იაპონია – საბერძნეთი 0:0.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

ქვაცაბაია 2 ტიტულისთვის იბრძვის

ქართველი ჩოგბურთელი სოფო ქვაცაბაია წარმატებით თამაშობს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი), სადაც მას ერთბაშად 2 ტიტულის მოპოვების შანსი აქვს.

ერთეულთა ტურნირში მე-3 ნომრად განთესილმა ქვაცაბაიამ პირველ წრეში რუსეთელი ანა გრიგორიანი 6:3, 6:1 დაამარცხა, შემდეგ უკრაინელ კატია მალიკოვას 6:3, 6:3 სძლია, მეოთხედფინალში კი მე-5 რეიტინგის მქონე უზბეკ ვლადა ეკშიბაროვას აჯობა – 6:2, 1:6, 6:2.

ნახევარფინალში სოფოს მეტოქე ჩერნოგორიელი ანა ვესელინოვიჩი იქნება, რომელიც უმთავრეს ფავორიტად არის შერაცხული. ფინალის მე-2 საგზურისთვის რუსები – ანასტასია პრიბილოვა (მე-8) და იულია ბრიზგალოვა იბრძოლებენ.

ასტანაშივე ვაჟთა 10-ათასიან ტურნირს მეოთხედფინალში გამოეთიშა ალექსანდრე მეტრეველი. მე-3 ნომრად განთესილი ქართველი რუს ალექსანდრ ვასილენკოსთან 5:7, 3:6 დამარცხდა.

წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში გიორგი ჯავახიშვილმა და გიორგი ცივაძემ მე-2 ნომრად განთესილ რუსულ-უზბეკურ დუეტს (ფუფიგინი-შოფაიზიევი) 2:6, 7:6 (7:4), 10:8 სძლიეს, ნახევარფინალში კი მე-3 რეიტინგის მქონე რუსებს (ელისტრატოვი-პოლიაკოვი) ვერ გაუმკლავდნენ – 4:6, 1:6.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

„გალათასარაიმ“ უბრძოლველად დათმო

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სტამბოლის „გალათასარაიმ“, რომლის ღირსებასაც ქართველი კალათბურთელი მანუჩარ მარკოიშვილი იცავს, თურქეთის ჩემპიონობა უბრძოლველად დათმო.

განცხადება, რომ „გალა“ სტამბოლისვე „ფენერბაჰჩესთან“ გადამწყვეტი მე-7 მატჩის სათამაშოდ არ გავიდოდა, შეხვედრის წინ გაკეთდა, გუშინ კი აღნიშნულს ხორცი შეესხა.

რადგან მარკოიშვილის კლუბმა პროტესტის ნიშნად „ფენერის“ დარბაზს არ მიაშურა, შესაბამისად, ჟელკო ობრადოვიჩის გუნდს 20:0 მოგება ჩაეთვალა, სერიაში კი 4:3 იმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ „გალათასარაის“ აღშფოთების მიზეზი თურქეთის კალათბურთის ფედერაციის არათანმიმდევრული ქმედება გახდა. მანუჩარის გუნდში თვლიდნენ, რომ ფინალის განმავლობაში ფედერაციის და, შესაბამისად, მსაჯების სიმპათიებიც მეტოქის მხარეს გახლდათ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

მეორე ადგილის შანსით

საქართველოს დედაქალაქში ხვალ დამთავრდება მორაგბეთა „თბილისის თასი 2014“-ის გათამაშება, რომელშიც მასპინძლებთან ერთად არგენტინელები, იტალიელები და ესპანელები მონაწილეობენ. ასპარეზობის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მთავარი ჯილდოს მოპოვების რეალური შანსი აქვს არგენტინას, რომელიც 9 ქულით მეწინავეობს.

საქართველოს ნაკრები მე-2 ტურში სწორედ ოკეანისგაღმელებთან დამარცხდა 16:26, არადა, პირველი ტაიმის შემდეგ „ბორჯღალოსნები“ შეხვედრას 13:12-ს იგებდნენ. მეორე ტაიმში ჩვენებმა მხოლოდ 3 ქულის აღება მოახერხეს, სამაგიეროდ, იყოჩაღეს არგენტინელებმა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ნაკრებმა (ირაკლი ყიასაშვილი, თამაზ მჭედლიძე, თედო ზიბზიბაძე, მერაბ შარიქაძე (კაპ.), სანდრო თოდუა, ლაშა მალაღურაძე, გიორგი როსვაძე (გიორგი ბეგაძე), ზურაბ ჟვანია (გურამ კავთიძე), სიმონ მაისურაძე (შალვა მამუკაშვილი), გიორგი მჭედლიშვილი (დაჩი ყუფარაძე), გიორგი ნემსაძე, კოტე მიქაუტაძე (ლაშა ლომიძე), დიმიტრი ბასილაია (გიორგი თხილაიშვილი), გივი ბერიშვილი (გიორგი მჭედლიშვილი), ბექა ბიწაძე) ორივე მატჩი გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
არგენტინა	2	2	0	0	71-36	9
იტალია	2	1	0	1	57-45	5
საქართველო	2	1	0	1	39-39	4
ესპანეთი	2	0	0	2	13-60	0

მეორე ტურშივე იტალიამ ესპანეთს 37:0 (22:0) სძლია, ხუთი ლელო გაუტანა და მთავარი პრიზის მოპოვების თეორიული შანსი შეინარჩუნა, თუმცა, ძნელი სავარაუდოა, რომ ბოლო ტურში არგენტინა ესპანეთთან დამარცხდება. საქართველო-იტალიის მატჩში მეორე ადგილის ბედი გადაწყდება.

22 ივნისი. საქართველო – იტალია "ა" (17 საათი), ესპანეთი - არგენტინა „იაგუარები“ (19 საათი).

ლექსო ცინცაძე

◎ ხელბურთი

სტუ ისევ პირველია

საბოლოო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
სტუ	21	21	0	0	775-525	42
ბათუმი	21	16	1	4	822-642	33
სამტრედია	21	14	0	7	774-681	28
იმედი	21	12	0	9	623-689	24
პეგასი	21	7	3	11	665-694	17
თელავი	21	5	1	15	595-678	11
ძაბუკები	21	3	2	16	608-715	8
ძუთაისი	21	2	1	18	567-805	5

გლდანის ჯემალ ცერცვაძის ხელბურთის ცენტრის დარბაზში დამთავრდა ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. შეჯიბრებაში რვა გუნდი მონაწილეობდა. მედლების მფლობელები სამწრიანმა მარათონმა გამოავლინა. შესანიშნავად იასპარეზეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელებმა (**ფოტოზე პირველ რიგში:** ირაკლი გოგოლაძე, ზურაბ აბრამიშვილი, შალვა სტურუა, ზურაბ სიმონია, გიორგი სურმავა; **მეორე რიგში:** კორნელი ანდრიაძე, ოთარ ამირანაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, შოთა გრიშიკაშვილი, ირაკლი ხიდეშელი, თემურ ორჯონიკიძე, ლაშა არსენაშვილი, ილია გოგალაძე, ჯონი ცერცვაძე, **მწვრთნელები** – ირაკლი კეკელიძე, ბექა ორჯონიკიძე, მამია კობახიძე), რომლებმაც ჩემპიონატის ოცდაერთივე შეხვედრა მოიგეს და კვლავ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. მესამე ეტაპის ბოლო მატჩში სტუდენტებმა ბათუმის გუნდი დაამარცხეს 42:35 და 42 ქულა მოაგროვეს. გამარჯვებულებს 9 ქულით ჩამორჩნენ ზღვისპირელები, რომლებმაც ზედიზედ მეორედ მოიპოვეს ვერცხლის მედალი. დასკვნით ეტაპზე იყოჩაღეს სამტრედიელმა ხელბურთელებმა – უახლოეს კონკურენტებს აჯობეს და პირველად დაიკავეს მე-3 ადგილი.

ვაჟა დანელია

◎ ინტერნეტიდან

კარლ ფროჩი - წარმატება რინგზე, წარმატება ოჯახში

ინგლისელმა მოკრივემ კარლ ფროჩმა მერვე რაუნდში მეტოქე ნოკაუტში ჩააგდო, რინგზე თავისი შეყვარებული – მოდელი რეიჩელ კორდინგლი მიიწვია და, არც მეტი, არც ნაკლები, ცოლობა სთხოვა.

ლამაზმანმა, რა თქმა უნდა, თანხმობა განუცხადა სასურველ მამაკაცს, – მათ ხომ უკვე ორი საერთო შვილი – ბიჭი როკო და გოგონა ნატალი – აკავშირებთ.

ორთაბრძოლას, რომელიც ლონდონში, „უემბლიზე“ გაიმართა, 80 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. 36 წლის კარლ ფროჩმა თავის ტიტულებს ესეც მიუმატა და ახლა უკვე WBA – ს და IBF – ს ქამრებს ფლობს მეორე საშუალო წონით კატეგორიაში.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ძალა ერთობაშია

როდესაც საზოგადოების აზრს იზიარებენ

დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა, სამართალდამცავი და ძალოვანი სტრუქტურების დეპოლიტიზებაა, უმთავრესი კი საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებაა. თუ წინა ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი საზოგადოებრივი პროტესტი, აქცია, გამოსვლა სასტიკად ითრგუნებოდა (თვით ცემა-ტყეპის, დაკავებების ჩათვლით ზ.ბ.), როდესაც უკმაყოფილების ორგანიზატორებზე მიდიოდა უხეში ზეწოლა, შანტაჟი, დღეს ამ კუთხით მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილად მიაჩნია სამართალმცოდნეობის სპეციალისტს, ადმინისტრაციული სამართლის დოცენტს ნოდარ გიორგაძეს. მას ამის მაგალითად მოჰყავს ყბადაღებულ საყდრისის ოქროს საბადოებზე ნედლეულის მოპოვებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომლის ძალითაც კომპანია „არ ემ ჯი გოლდს“ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტზე ფართო მასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება შეუჩერდა, ამბობს დოცენტი. უმთავრესი მიზეზი საპროტესტო ტალღის აგორებისა, ყველასათვის ცნობილია, არადა წინა ხელისუფლების პირობებში მოსახლეობის, არასამთავრობოების უკმაყოფილებას არად დაგიდევდნენ. კეტი და უხეში ძალა მათთვის მზად იყო. დღეს სხვა ვითარებაა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ კახა კოჟორიძემ საქალაქო სასამართლოში კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა კიდეც. რითაც შეჩერდა კულტურის სამინისტროს ის აქტი, რომლითაც „არ ემ ჯი გოლდზე“ სამუშაოების გაგრძელების ნებართვა იყო გაცემული. სპეციალისტები, იურისტები მსგავსი შემთხვევის დაფიქსირებას წარმოუდგენლად მიიჩნევენ. რადგან ხელისუფლების ხელდასხმულ ოქროს მომპოვებელს და საერთოდ „მეწარმეს“ როგორ გაუბედავდა მოსამართლე რაიმეს შეკადრებას, მით უმეტეს სამუშაოების შეჩერებას. სასამართლო ხომ პროკურატურის ჯიბის ორგანო იყო, ხოლო მოსამართლე — ხელის ბიჭი.

არ მოეწონა სასამართლოს განჩინება წინა რეჟიმის მიერ სასათბურე პირობებში მყოფ კომპანიას, მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ხალხის პროტესტს ამხელა ძალა ექნებოდა და საქალაქოს მოსამართლე ამდენს გაბედავდა, ჯერ დაიბნენ და გაირინდნენ, შემდეგ კი მათმა იურისტებმა წამოყვეს თავი და განაცხადეს, რომ სასამართლოს განჩინებას არ ეთანხმებიან. ის ცალმხრივია და აპირებენ დადგენილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრებას.

გაურკვეველ მდგომარეობაშია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ისტორიული მემკვიდრეობის სამინისტრო. მინისტრი ამჯერადაც ვერ იჩენს პრინციპულობას და აცხადებს, რომ მის უწყებას ჯერ ოფიციალურად არ მიუღია სასამართლოს განჩინება, ამიტომ მისი კომენტირება გაგვიჭირდება. მივიღებთ, განვიხილავთო, ამბობს იგი. მისი მოსაზრება კი ექსპერტებში, სპეციალისტებში, იურისტებში გაკვირვებას იწვევს. ნოდარ გიორგაძე თვლის, რომ გურამ ოდიშარია სიტუაციას ვერ აფასებს. იგი დაართხო საზოგადოებისა და არასამთავრობოების მასობრივმა შემოტევამ, ხოლო სასამართლოს განჩინებამ შეაშინა. მინისტრი გაურკვევლობაშია (უკვე მერამდენედ — **ზ. ბ.**) და მხოლოდ დროის უაზრო გაწელვითაა დაკავებული, მიაჩნია საქმეში ჩახედულ ხალხს.

წინა ხელისუფლების პერიოდში საგარეჯოელებმა არა ერთი საპროტესტო გამოსვლა მოაწყვეს. მათი უკმაყოფილების მიზეზი ის იყო, რომ კომპანია „კანარგო ჯორჯია“, რომელიც 25 წელია ნავთობს მოიპოვებს აფეთქების გზებით, რითაც ბინძურდება მოსახლეობისთვის მისაწოდებელი სასმელი წყლის არხები. არადა საგარეჯოელებს წყლის მიწოდების ალტერნატიული წყაროები არ აქვთ. კახეთის საინფორმაციო ცენტრის გადმოცემით, საპროტესტო გამოსვლები ამ თემაზე არაერთგზის ყოფილა, მაგრამ წინა რეჟიმი ხან ფოჩებიანი კანფეტების, ხანაც მშობლების, შვილების, ახლობლების დაჭერის მუქარით მიტინგებს შლიდნენ. იშვიათი არ ყოფილა კეტის, ჯოხის გამოყენებაც.

შარშან კი მოსახდენი მოხდა. ნავთობმა გაჟონა. კორპორაციაში უმალვე განაცხადეს, რომ ავარიის მასშტაბები, დიდი არ იყო, მაგრამ გაწმენდითი სამუშაოები მაინც მიმდინარეობდა. სწორედ ბოლო სიტყვებმა დააეჭვა საზოგადოება. მათ დაიწყეს გაუბედავი პატარ-პატარა საპროტესტო გამოსვლები. ხალხს ხელისუფლებიდან ძალის გამოყენებისა ეშინოდა, კორპორაცია „კანარგოს“ კი იმედი ჰქონდა, რომ სამართალდამცავები წინა ხელისუფლების მსგავსად დაარბევდნენ მომიტინგეებსო, იგონებენ თვითმხილველები. როდესაც ყველა დარწმუნდა, რომ არაფერი კატასტროფული არ იგეგმებოდა, პროტესტანტების რიცხვმა მატება იწყო , კორპორაციამ უკან დაიხია, ხოლო პოლიცია მხოლოდ თვალყურს ადევნებდა, რომ ფიზიკური დაპირისპირებები არ მომხდარიყო. დაიწყო კონსტრუქციული დიალოგი აქციის მონაწილეთა, ხელისუფლებასა და კორპორაციის ადმინისტრაციას შორის. საბოლოოდ, გადმოგვცემენ მეთვალყურენი, მივიდნენ იმ შეთანხმებამდე, რომ უმოკლეს ვადებში შეიქმნება სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის წყლის დაბინძურების რეალურ საფრთხეს, ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში, ნავთობის „კორპორაცია კანარგოს“ ნავთობის აფეთქების გზით მოპოვება საერთოდ აეკრძალება, აცხადებენ საგარეჯოელები.

სპეციალისტები, იურისტები, საზოგადოების წარმომადგენლები კმაყოფილი არიან მიღწეული შედეგით, ხალხმა პროტესტის ძალა იგრძნო, ხელისუფლება მოსახლეობის წინააღმდეგ ძალას აღარ იყენებს, ხოლო კორპორაციათა მფლობელნი მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათი „მეპატრონის“ ხელით, უხეში ძალის გამოყენებით უკმაყოფილოთა დაშლას, ნამდვილად სჯობს პროტესტანტებთან მოლაპარაკებების გამართვა.

დღეისთვის საგარეჯოს „კანარგოს“ ნავთობმომპოვებელ საბადოზე აფეთქებითი მოპოვებითი სამუშაოები შეჩერებულია, აცხადებენ ადგილობრივები და კმაყოფილებით უსვამენ ხაზს საზოგადოების, მოსახლეობის ერთიან, დარაზმულ ბრძოლას კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის.

ზაზა ბილიხოძე

რძალი გაიანე ხაჩიძე, შვილიშვილები კოკა, ქეთინო ხაჩიძეები, შვილიშვილთა შვილები გაია ხაჩიძე, თეიმურაზ გოგოლაშვილი, რძლები ალიონა ხაჩიძე, მარინა ვინოგრადოვა, შვილიშვილთა შვილიშვილები ნიკუშა, დათუნა, დისწულები მერაბ, ირაკლი დადიანები, სიძე აჩი ფურცელაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან ხაჩიძე

პანაშვიდი 22, 23 VI, 17 სთ. გამოსვენება 24 VI, 15 სთ. მისამართი: საბურთალოს 43ა.

◎ ინფორმაცია

დედაქალაქი ეკოლოგიური საფრთხის წინაშე დგას

საკრებულოს დეპუტატის გულიკო ზუმბაძის ინიციატივით, საკრებულოში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელიც დედაქალაქის, კონკრეტულად ლილოს ტერიტორიაზე ნარჩენების პოლიგონის დახურვას ეხებოდა.

გულიკო ზუმბაძის განცხადებით, ამ დროისათვის პოლიგონის ტერიტორიაზე სრულიად დაბინძურებულია ჰაერი და ქალაქის წინაშე, ფაქტობრივად, ეკოლოგიური საფრთხე დგას. მისივე განმარტებით ნაგავსაყრელი აეროპორტიდან დაშორებულია 7 კილომეტრით, მაშინ როდესაც საერთაშორისო სტარდანტები 13 კილომეტრს მოიცავს, აქედან გამომდინარე კი საფრთხე ეხება საერთაშორისო ფრენებს. დეპუტატის თქმით, არასამთავრებო ორგანიზაციების მონაწილეობით, დადებულია კონკრეტული დასკვნები, რის მიხედვითაც აუცილებელია პოლიგონის დახურვა.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ენგურჰესი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №8, III სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო) დირექტორთა საბჭოს 2014 წლის 23 მაისის სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ხდ“-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1.	ექსკავატორი ეო – 2621	7576 АИ	1988 წ.	3000	500	100	20	საბერიო

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: მიმღები: შპს „ენგურჰესი“, სს „პროკრედიტ ბანკის“ ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება, ბანკის კოდი 220101929, ანგარიშგების ანგარიში 301467126, ს/კოდი 251716371.

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის №90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2014 წლის 20 ივნისის 10 სთ-დან 2014 წლის 4 ივლისის 13 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2014 წლის 4 ივლისს 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);

— „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

-აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის — ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

— სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული, შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 595 227050 , 0415 221688

შპს „ენგურჰესის“ აუქციონის მომწყობი კომისია

განცხადება

საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ეროვნული ფედერაცია აცხადებს, რომ 2014 წლის 23 ივლისს, 14 საათზე, ქ. ფოთში, მალთაყვის სპორტულ კომპლექსში ტარდება ფედერაციის ყრილობა.

ფედერაციის წევრთა დასწრება აუცილებელია.

დღის წესრიგი:

1. ფედერაციის პრეზიდენტის მოხსენება: საქართველოში ამ სახეობის სპორტში, გაწეული მუშაობის შესახებ.
2. გამგეობის წევრების არჩევა.
3. გამგეობის წევრებიდან ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის არჩევა.

სოფელი ნაფარეული დაისეტყვა

თელავის რაიონის სოფელი ნაფარეული დაისეტყვა. სოფლის რწმუნებულის ბიძინა ასაბაშვილის ინფორმაციით, სეტყვის შედეგად 100 ჰა ვენახი განადგურდა.

მისივე თქმით, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც სტიქიის ადგილზე მუშაობს და ზარალს ითვლის.

როგორც სოფლის რწმუნებულმა აღნიშნა, შესწავლის შემდეგ ზარალის შესახებ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაეგზავნება.

მცირე ენციკლოპედია

„მორიდებული“ ტიტული

4 დეკემბერი გაერთიანებული ევროპის დღედ შეიძლება მივიჩნიოთ.

ეს ის დღეა, როცა 773 წელს მეფემ კარლოს დიდმა იმდროინდელი ევროპის ყველა დიდი და მცირე საუფლო გააერთიანა, და ფრანკთა სამეფოს ხელმწიფე და რომის იმპერატორი გახდა. მისი სრული ტიტული კი ასე „მორიდებულად“ ჟღერდა: „კარლოს მოწყალე, აღმატებული, ღვთით ნაკურთხი, დიადი, ხელმწიფე-მშიდობამყოფელი, რომის იმპერიის მმართველი, უფლის წყალობით ფრანკთა და ლანგობარდთა მეფე“.

ახლა შეადარეთ ეს ტიტული თანამედროვე პრეზიდენტს ან პრემიერ-მინისტრს!

მამაკაცთა შორის უძლიერესი... ამორძალი

ცხრა წლის ასაკში ლინდსი ჰეიუორდი 180 სანტიმეტრის სიმაღლისა იყო, 13 წლისთვის 206 სანტიმეტრს მიაღწია და მას შემდეგ აღარ გაზრდილა.

ამასთან, მისი 107-კილოგრამიანი სხეული რკინის კუნთების გროვას უფრო ჰგავს, ვიდრე ქალის ტანს, ხოლო 38 ზომის მკერდს ნებისმიერი აზღუდის გახევა შეუძლია. დაწოლილი ლინდსი 320 კილოგრამი წონის შტანგას სწევს! ამიტომაც, რა გასაკვირია, რომ იგი სპორტის ისეთმა ძალოსნურმა სახეობამ გაიტაცა, როგორიცაა რისტლინგი.

ამასთან, ჰეიუორდის წინააღმდეგ ვერც ერთი მოწინააღმდეგე სამ წუთზე მეტს ვერ ძლებდა. ას კილოგრამზე მეტი წონის სპორტსმენებს ლინდსი ყოველგვარი დაძაბვის გარეშე რინგის ერთი კუთხიდან მეორეში ყურთბალიშივით აგდებდა! დაუმარცხებელი ლინდსი ჰ ეიუორდის სახელი მთელ ამერიკაში ქუხდა, მაგრამ მოულოდნელად ქალიშვილი-მთა გუნდიდან გარიცხეს. თავდაპირველად ჭორი დაირხა, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა მიზანშეუწონლად ჩათვალოს რინგზე ისეთი სპორტსმენის გამოყვანა, რომლის გამარჯვება არავითარ ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ შოუს ორგანიზატორები უკმაყოფილონი დარჩნენ ლინდსის მიერ ინტერნეტში განთავსებული თავისი ზედმეტად ეროტიკული ფოტოების გამო.

ამდენად, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ამჟამად ლინდსი მოწინააღმდეგეებს არა ქალებში, არამედ... მამაკაცებში ეძებს და სამი ცნობილი ამერიკელი მოჭიდავეც გამოიწვია. ორთაბრძოლების მოლოდინში 21-ე საუკუნის გამორჩეულმა ამორძალმა თავის კვების რაციონში ხორცის ოდენობა გააორმაგა – მისი აზრით, ჭარბი ცილები მას მამაკაცთა ძლევაში კარგ სამსახურს გაუწევს.

მილიარდნახევრის ღირებულების ნახატები... ზღვის ფსკერზე

1771 წელს ჰოლანდიური გემი „ფრაუ მარია“, რომელიც სანკტ-პეტერბურგში მიდიოდა, ბალტიის ზღვაში ალანდის კუნძულებთან ჩაიძირა.

„ფრაუ მარიას“ ძვირფასი ტვირთი გადაჰქონდა – იგი დატვირთული იყო ფაიფურის კოლექციით, ოქროსა და ვერცხლის ქანდაკებებით და, რაც მთავარია, აქ იყო ფლამანდიელ მხატვართა 300-მდე ფერწერული ტილო! მთელი ეს ავლა-დიდება აუქციონზე რუსეთის დედოფლის ეკატერინე II ბრძანებით შეიძინეს და იგი მთელი ამ სიმდიდრის ერმიტაჟსა და ცარსკოე სელოსთვის გადაცემას აპირებდა. გემის ჩაძირვის ამბავი რომ შეიტყო, ეკატერინემ შვედეთის მეფეს მიმართა, მაგრამ იმან დახმარებაზე უარი უთხრა. მხოლოდ ორი საუკუნის შემდეგ ფინელმა განძთა მძებნელმა რაუნო კოივუსუარიმ ზღვის ფსკერზე თითქმის დაუზიანებელი ხომალდის ნარჩენებს მიაგნო.

– ტვირთის ფასი 1,5 მილიარდ ევროს აღემატება, – განაცხადა წიგნის „ფრაუ მარიას“ საიდუმლოებანი. ცრუ ბარონი რეფიციულის“ პრეზენტაციაზე პირველმა ლეგალურმა საბჭოურმა მილიონერმა, პოლიტიკოსმა და ბიზნესმენმა არტემ ტარასოვმა – რუსეთის მხარე მზადაა, ხომალდი ამოიყვანოს, მაგრამ ფინელები ამბობენ: „გემი ჩვენს ტერიტორიაზეა ჩაძირული, ამიტომ ჯერ 800 ათასი ევრო გადაგვიხადეთ“. ყველა ნახატი ჰერმეტულად შეფუთული და ტყვიის ტუბუსში იყო ჩადებული, მაგრამ სადაა ამის გარანტია, რომ ისინი გადარჩნენ? ჩვენ ჯერ ამაში დარწმუნება გვინდა, მერე კი ფულსაც გადავიხდით.

სხვათა შორის, ფინეთში ასეთი კანონია: თუკი ხომალდი, ან ტვირთი მის წყლებში 100 წელზე მეტს დაჰყოფს, მაშინ იგი სახელმწიფოს კუთვნილება ხდება. ფინეთის სახელმწიფოს კი 100 წელი მხოლოდ 2018 წელს უსრულდება, ამდენად არც გამიკვირდება, თუკი ისინი დროს გაჭიმვას დაიწყებენ, – თქვა მილიონერმა.



მტაცებელი ბაყაყი

ხარ-ბაყაყა კანიბალია და ყველაფერს ჭამს, რასაც კი მოერევა და მოინელებს: ჩიტებს, პატარა თევზებს, სხვა ბაყაყებსაც კი... ცოტა ხნის წინათ უგანდაში ერთმა მონადირემ ნახა, თუ როგორ შესანსლა ხარ-ბაყაყამ ერთ საათში გველი, ორი ბარტყი, ღამურა და რამდენიმე ხოჭო.

გიგანტური ხარ-ბაყაყა აფრიკის, აზიისა და ამერიკის ფაუნის ნამდვილი რისხვაა. ამ მტაცებლის კბილებს ჭიქის დაღრღნა შეუძლია, იგი 3,5 მეტრზე ხტება, თანაც ძალიან დიდი მადა აქვს და უაღრესად აგრესიულია, რითაც მრავალ რეგიონს დიდ ზარალს აყენებს. არადა, მიუხედავად ამისა, იგი თავად ხდება უფრო აგრესიული მტაცებლის მსხვერპლი: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, ჩინეთში და კანადაში რესტორნებში მისი ბარკლები გურმანებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

– ყველაზე დიდი ხარ-ბაყაყები კამერუნშია, სადაც ამ ურჩხულთა წონა ორ კილოგრამს, ხოლო სიგრძე – 25 სანტიმეტრს აღწევს. ისინი ჩასაფრებით ნადირობენ და მსხვერპლს გუდავენ, – ამბობს ნიუკვაის ზოოპარკის უფროსი ზედამხედველი დენ ჰერიკი. – ერთხელ ჩემი თვალით ვნახე, თუ როგორ გადასანსლა 70 სანტიმეტრის სიგრძის ხარ-ბაყაყამ გაბონური გველგესლა!

სახლი-კიდობანი

თავისი სახლი ნიკოლაი ორეხოვმა ყოველგვარი ნახაზების გარეშე ააგო. – ისინი თავში მაქვს! – იცინის ხელმარჯვე ოსტატი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველაფერი საუცხოოდ გამოუვიდა, რასაც მისი სახლით მრავალი აღფრთოვანებული მნახველიც იზიარებს.

იქნებ ყველაფერი მართლაც განგებაა: თავისი მომავალი სახლი ნიკოლაი ორეხოვმა 2007 წლის 7 ივლისის ღამე... სიზმარში ნახა, თანაც ყველა წვრილმანის კარგად „დათვალიერებაც“ შეძლო!

თავდაპირველად იგი რაღაც გრანდიოზულის გაკეთებას სულაც არ ფიქრობდა – უნდოდა მხოლოდ ხომალდის ფორმის აბანო აეგო, მაგრამ მშენებლობის პროცესმა გაიტაცა და შედეგად ცხვირწაწვეტებული, 14X9 მეტრის ზომების სახლი ააშენა. სახლში ისეთივე სამზარეულოა, როგორც გემებზე აქვთ, არის აუზიც და საპირფარეშოც, კოხტა კაიუტ-კომპანია, ორი საძინებელი, სასტუმრო და საბავშვო ოთახები, მესამე სართულზე კი ორანჟერეა...

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

ჟვირფასი ზუ იანკიანი

ჩინეთის დაბა ძენჯუეის ერთ-ერთი მცხოვრების ღორი მეტად უჩვეულო... აკრობატულ ნომრებს ასრულებს. არადა, საბრძოლო ცხოველს სხვა გამოსავალი არც აქვს, რადგან მას მხოლოდ... ორი წინა ფეხი აქვს, რომლებსაც, უნდა ითქვას, ჭეშმარიტი ცირკის ოსტატივით ხმარობს!

ღორი, სახელად ზუ იანკიანი, რაც „ნებისყოფიანს“ ნიშნავს, უკანა ფეხების გარეშე დაიბადა, მაგრამ „სამწვადედ“ იგი მაინც არ გაიმეტეს და ათი თვის შემდეგ ბურვაკი ლამის ჩინეთის ეროვნულ სიმდიდრედ იქცა!

– ზუ იანკიანი რვა სხვა გოჭთან ერთად დაიბადა, – ამბობს უნიკალური ღორის პატრონი ვენ სიჰაი. – თავიდანვე შევნიშნე, რომ დეფექტიანი დაიბადა, მაგრამ გადავწყვიტე, არ დამეკლა და შემეხედა, მერე რა მოხდებოდა. ჰოდა, ახლა, ზუ იანკიანი ყველა „დედმამიშვილზე“ დიდხანს ცოცხლობს

და ორი ფეხით სიარულიც კი ისწავლა.

ფერმერის თქმით, გოჭუნამ ვარჯიში დაბადებიდანვე დაიწყო და ერთი თვის თავზე იგი უკვე ორ ფეხზე დადიოდა.

– ახლა ღორი 50 კილოგრამს იწონის და, ცოტა არ იყოს, სიარული უჭირს, მაგრამ ზუ იანკიანი ყოჩაღი „გოგოა“ და მე იგი მეამაყება, – აღფრთოვანებას ვერ მალავს ძია ვენი.

მის აღფრთოვანებას სავსებით იზიარებს რამდენიმე ცირკის წარმომადგენელიც, რომელიც დღესაც ცდილობს ფერმერის ღორის გაყიდვაზე დაყოლიებას, მაგრამ იგი ამ მომხიბლავ წინადადებებს არასდიდებით არ თანხმდება.

ცინცხალი ანეკდოტები

– **რისთვის ზიხარ?** – ეკითხებიან პატიმარს.

– **კონკურენციისთვის.**

– **ჩვენთან საბაზრო ეკონომიკაა და ამისთვის არავის არ აპატიმრებენ.**

– **სწორედ ამისთვის ჩამსვეს! სახელმწიფოს ვუწევდი კონკურენციას ფულის ბეჭდვაში...**

* * *

– **და სად გავიცინო?** – ეკითხება ტიპი ანეკდოტის მომყოლს.

– **სადაც გინდა, ეს თავისუფალი ქვეყანაა.**

* * *

საპენსიო ასაკს მიღწეული ტიპი კერძო ფირმის კადრების განყოფილებაში მივიდა.

– **სამწუხაროდ, ჩემო ბატონო,** – ეუბნებიან მას, – **თქვენი კანდიდატურა არ გვაწყობს. ჩვენ ახალგაზრდა, ამბიციური კადრები გვჭირდება, რომლებსაც შემოქმედებითად ზრდა შეუძლიათ!**

– **მაინც ჩაიწერეთ ჩემი ტელეფონის ნომერი და როდესაც გაირკვევა, რომ თქვენი მოწონებული ახალგაზრდა კადრები ჯერ კიდევ იზრდებიან შემოქმედებითად, საქმის გამკეთებელი კი არავინაა, დამირეკეთ...**

* * *

– **რა მოხდება, თუ მაქსიმალური სიმძლავრით ჩართულ მიკროტალღურ ღუმელში ათი წამით შევყოფ თავს?**

– **თუ ამის გაკეთება შეგიძლია, უარესი არაფერი არ მოხდება...**

* * *

– **სიდოროვი** როგორც მოწაფე, – ეუბნება ერთი მასწავლებელი მეორეს, – **ბევრი ვერაფერია, მაგრამ როგორც შემოსავლის წყარო, ერთობ სტაბილურია.**

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24